ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 34 (19775) კვირა, 8 თებერვალი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ფრენის მეორე დღე

ფრენის მართვის ცენტრი, 7 თებერვალი. (საკლისი). „სოიუზ ტმ-2“ კოსმოსურმა ხომალდმა, რომელსაც იური რომანენკო და ალექსანდრე ლავეიკინი მართავენ, მოსკოვის დროით 11 საათისათვის 23-ჯერ შემოუფრინა დედამიწას.

ეკიპაჟმა შეასრულა ხომალდის საბორტო სისტემებისა და მისი ნაკეთურების ჰერმეტულობის შემოწმების საშტატო ოპერაციები. განხორციელდა „მირ“—„პროგრეს-27“ ორბიტულ კომპლექსთან შორი მიახლოების მანევრები.

კორექციის შემდეგ „სოიუზ ტმ-2“ ხომალდის ორბიტის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 308 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 269 კილომეტრი;

— გარშემოვლის პერიოდი — 90,1 წუთი;

— დახრილობა — 51,6 გრადუსი.

დასახული პროგრამის შესაბამისად დღეს გაგრძელდება „სოიუზ ტმ-2“ სატრანსპორტო ხომალდის გამოცდა და სადგურ „მირთან“ შეპირაპირებისათვის მზადება.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებითა და ეკიპაჟის მოხსენებების თანახმად, ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს. კოსმონავტები რომანენკო და ლავეიკინი თავს კარგად გრძნობენ.

საუბარი საირუს ვენსთან

6 თებერვალს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ა. გრომიკომ მიიღო თვალსაჩინო ამერიკელი იურისტი, მთელი რიგი წამყვანი კორპორაციების ხელმძღვანელობის წევრი, საერთაშორისო ურთიერთობის საბჭოს (ქ. ნიუ-იორკი) წევრი, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი საირუს ვენსი მისი თხოვნით. იურიდიული პრაქტიკისა და ბიზნესის გარდა იგი აქტიურად ეწევა პოლიტიკურ საქმიანობას, კერძოდ, უკავია დემოკრატთა პარტიის ზომიერი ფრთის ორგანიზაციის — დემოკრატიული (ეროვნული) პოლიტიკის ცენტრის ვიცე-პრეზიდენტის პოსტი, აგრეთვე არის ამერიკის მთელი რიგი საგარეო-პოლიტიკური საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრი. სტუმარი მოსკოვში იმყოფება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ინსტიტუტის მოწვევით.

ა. ა. გრომიკომ და ს. ვენსმა გულახდილად გაუზიარეს ერთმანეთს აზრი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის თანამედროვე მდგომარეობაზე, ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შესახებ მოლაპარაკებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ამასთან საბჭოთა მხარის უყრადღება მიეპყრო რეიგანის ადმინისტრაციის არაკონსტრუქციულ პოზიციას შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების შესახებ მოლაპარაკებებზე, მის მისწრაფებას განხორციელოს ეგრეთ წოდებული სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროგრამა, ანუ დაიწყოს კოსმოსური სივრცის მილიტარიზაცია აქედან გამომდინარე ყველა საშიში შედეგით.

შეხვედრამ საქმიან, გულახდილ ვითარებაში ჩაიარა. (სატასი).

8 თებერვალი აეროფლოტის დღე

მუშაობის ადგილია ცა

აეროფლოტის დღე იმათი პროფესიული დღესასწაულია, ვინც მიწაზე და პაერში რეალობად აქცევს სამოქალაქო ავიაციის მუშაობის ძირითად პრინციპებს: საიმედოობას, სისწრაფეს, კომფორტს. სიტყვა „საიმედობა“ დღეს მთელი საქართველოსათვის განსაკუთრებული აზრით ეღერს სტიქიასთან გაჩაღებულ ბრძოლაში, და როცა დასავლეთ საქართველოში ადიდდა მდინარეები და მთელ რიგ რეგიონებში ნალექების თვიური ნორმა ერთ დღე-ღამეში მოვიდა, რამაც ზვავები და წყალდიდობა გამოიწვია, ვერტმფრინავები მამაცობის ჰეროიტ რეისებს ასორციელებენ.

არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, პროდუქტებით, მედიკამენტებით, სათბობით დატვირთული მანქანები რთულ გაფრენებს ასორციელებენ მაღალმთიან სვანეთში, ადამიანები გადმოჰყავთ უბედურების ადგილებიდან.

ქუთაისის ავიარაზმის ხრახნილფრთიანი მანქანის ეკიპაჟმა — ვლადიმერ ნაუმენკომ და ნიკოლოზ ტარასოვმა ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის რაიონში ერთ ციდა მოედანზე დასვა მანქანა და დაჭრილი ადამიანები გამოიყვანა. უკვე შემდეგი რეისით პილოტებმა ლენტეხში აიყვანეს ექიმები, აიტანეს მედიკამენტები, სათბობი.

სამოქალაქო ავიაციის თვითმფრინავები და ვერტმფრინავები დახმარებას უწევენ მემონტაჟეებს, გეოლოგებს, სოფლის მეურნეობის მშრომელებს, მებაღურებს, სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომლებს.

მათი მუშაობის ადგილია ცა, — ამბობენ ავიატორები — მამაცური და კეთილშობილური პროფესიის ადამიანები.

სურათებზე: ქუთაისის ავიარაზმის უფროსის მოადგილე ომარ ბელადიძე (ცენტრში) დავალებას აძლევს რგოლის მეთაურს იუზა ფრუიძეს. ვერტმფრინავის ეკიპაჟის მეთაურს ედუარდ ხალათოვსა და ბორტმექანიკოს რობერტ ოგანიანს, რომლებიც მესტიაში დაფრინავენ; სტიქიისაგან დაზარალებული ადამიანების მორიგი ჯგუფი მიემართება ვერტმფრინავებისაკენ;

ბ. ბერსამიას ფოტო

(საინფორმის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

ამხ. ბ. ლ. ტოლსტიხის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:** დაინიშნოს ამხ. ბორის ლეონტის ძე ტოლსტიხი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი.

1987 წლის 6 თებერვალი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეთა მიერ შეტანილი შესწორებების გათვალისწინებით

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების)

I. საწარმო (გაერთიანება) სახალხო მეურნეობის ძირითადი რგოლია

მუხლი 1. სახელმწიფო საწარმო (გაერთიანება), კოოპერაციულთან ერთად, შეადგენენ ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ძირითად რგოლს. საწარმოს (გაერთიანებებს), განეკუთვნებათ მთავარი როლი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განვითარებასა და სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი წარმოების უმაღლესი მიზნის მიღწევაში — ადამიანის მზარდ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა ყველაზე სრულ დაკმაყოფილებაში.

ეს კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო საწარმოებისა და გაერთიანებების (რომლებიც შემდეგ საწარმოებად იწოდებიან იმ შემთხვევების გარდა, როდესაც საქმე ეხება გაერთიანებათა თავსებურებებს) ორგანიზაციისა და საქმიანობის საფუძვლებს, სამართლებრივ მდგომარეობას.

2. სახელმწიფო საწარმოში შრომითი კოლექტივი, რომელიც თადარიგიანად პატრონობს საერთო-სახალხო საკუთრებას, ქმნის და ამრავლებს სახალხო სიმდიდრეს, უზრუნველყოფს საზოგადოების, კოლექტივისა და თითოეული მუშაკის ინტერესების შესაბამებას. საწარმო არის სოციალისტური საქონელმწარმოებელი, ცენტრალიზებულ საწყისებს სახალხო მეურნეობის როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმის განვითარების უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტაში, ითვალისწინებს მართვის ეკონომიკური მეთოდების გაძლიერებას, სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების ფართო გამოყენებას, დემოკრატიული საფუძვლების გაფართოებასა და თვითმმართველობის განვითარებას, განსაზღვრავს საწარმოების (გაერთიანებების) და სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ურთიერთობას.

მუხლი 2. საწარმოს საქმიანობის პრინციპები

1. საწარმოს საქმიანობა ემყარება ეკონომიკური და სოციალური განვითარების **სახელმწიფო გეგმის საფუძველს,** როგორც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის ინსტრუმენტს. საკონტროლო ციფრების, გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების, სახელმწიფო შეკვეთების, აგრეთვე მომხმარებელთა შეკვეთების შესაბამისად საწარმო ამუშავებს გეგმებს და სდებს ხელშეკრულებებს.

2. საწარმო მოქმედებს **სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებით.** მისი საწარმოო, სოციალური საქმიანობა და შრომის ანაზღაურება ხორციელდება შრომითი კოლექტივის მიერ გამომუშავებული სახსრების ხარჯზე. საწარმო პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციით მიღებული ამონაგებით ინაზღაურებს მატერიალურ დანახარჯებს. მოგება ან შემოსავალი არის საწარმოს სამეურნეო საქმიანობის განმაზოგადებელი მაჩვენებელი. საწარმომ მოგების (შემოსავლის) ნაწილი უნდა გამოიყენოს ბიუჯეტის, ბანკებისა და ზემდგომი ორგანოს წინაშე ვალდებულებათა შესასრულებლად. მეორე ნაწილი გადადის მის სრულ განკარგულებაში და შრომის ანაზღაურების სახსრებთან ერთად ქმნის **კოლექტივის სამეურნეოანგარიშებრივ შემოსავალს,** რომელიც საწარმოს ცხოველქმედების წყაროა.

3. სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში საწარმოს საქმიანობა ხორციელდება **სოციალისტური თვითმმართველობის** პრინციპის შესაბამისად. შრომითი კოლექტივი, რომელიც საწარმოს სრულუფლებიანი ბატონ-პატრონია, დამოუკიდებლად წყვეტს საწარმოო და სოციალური განვითარების ყველა საკითხს. საწარმოს მუშაობის მიღწევები და დანაკარგები უშუალოდ ახდენს გავლენას კოლექტივის სამეურნეოანგარიშებრივ შემოსავლის დონეზე, თითოეული მუშაკის კეთილდღეობაზე.

4. საწარმოს საქმიანობაში მეტი როლი ენიჭება საწარმოთა **ეკონომიკურ შეჯიბრებას,** როგორც უმნიშვნელოვანეს ფორმას **სოციალისტური შეჯიბრებისას** უმცირესი დანახარჯებით წარმოებულ ეფექტიან მაღალხარისხოვან და კონკურენტუნარიან პროდუქციაზე (სამუშაოებზე, მომსახურებაზე) მომხმარებელთა მოთხოვნის ყველაზე სრული დაკმაყოფილებისათვის. საწარმო, რომელიც ნაკლები დანახარჯებით უზრუნველყოფს უკეთესი პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოებას და რეალიზაციას, იღებს მეტ სამეურნეოანგარიშებრივ შემოსავალს და უპირატესობას თავის საწარმოო და სოციალურ განვითარებასა და მუშაკთა შრომის ანაზღაურებაში.

სახელმწიფო იყენებს დაგეგმვას, ფართოდ ნერგავს საკონკურსო პროექტირებასა და წარმოებას, საფინანსო-საკრედიტო ბერკეტებსა და ფასებს საწარმოთა ეკონომიკური შეჯიბრების ყოველი ღონით განვითარებისათვის, ამასთან ზღუდავს მათი როგორც გარკვეული სახეობის პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) მწარმოებლების მონოპოლიურ მდგომარეობას.

5. საწარმო მოქმედებს **სოციალისტური კანონიერების** საფუძველზე. სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში მას **ენიჭება ფართო უფლებები** თავისი საქმიანობის განხორციელებისათვის და შეუძლია მიიღოს ყველა საწარმო და სოციალურ საკითხზე გადაწყვეტილებანი, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

საწარმოს ეკისრება **მთელი პასუხისმგებლობა** სახელმწიფოს ინტერესებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვისათვის, სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვისათვის, ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და უზარალო მუშაობისათვის, განმტკიცებს საწარმოო და შრომის დისციპლინას.

6. სახელმწიფო პასუხს არ აგებს საწარმოს ვალდებულებათა გამო. საწარმო პასუხს არ აგებს სახელმწიფოს, აგრეთვე სხვა საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ვალდებულებათა გამო.

მუხლი 3. კოლექტივის სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავალი და მისი განაწილება

1. კოლექტივის სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავალი საწარმოს საწარმოო და სოციალური განვითარების, შრომის ანაზღაურების წყაროა, საწარმოს განკარგულებაშია, **გამოიყენება დამოუკიდებლად და ამოღებას არ ექვემდებარება.**

სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავლის ხარჯზე ნორმატივების მიხედვით იქმნება **ხელფასის ფონდი და ეკონომიკური სტიმულირების ფონდები:** წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისა; სოციალური განვითარებისა; მატერიალური წახალისებისა და საფინანსო რეზერვი ან ანალოგიური დანიშნულების სხვა ფონდები. საწარმოში იქმნება აგრეთვე საკალეტო ანარიცხების ფონდი.

2. **ხელფასის** ფონდს საწარმო იყენებს შრომის ანაზღაურებისათვის სატარიფო განაკვეთების, თანამდებობრივი სარგოების მიხედვით, აგრეთვე სარგოისა და დანამატებისათვის.

მატერიალური წახალისების ფონდი ხმარდება პრემიების, ჯილდოების გაცემას, მატერიალურ დახმარებასა და შრომითი კოლექტივის სხვა საჭიროებებს.

საწარმოში **შრომის ანაზღაურების ფონდის** შექმნისას, ხელფასის ფონდისა და მატერიალური წახალისების ფონდის ნაცვლად იგი შრომის შედეგების მიხედვით მუშაკთათვის ყველა მისაცემლის ერთიანი წყაროა.

3. **წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდს** საწარმო იყენებს სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დაფინანსებისათვის, თანამედროვე ტექნიკურ საფუძველზე ძირითადი ფონდების განახლებადაფართოებისათვის, საკუთარი საბრუნავი საშუალებების მატების, აგრეთვე წარმოების განვითარების სხვა მიზნებისათვის.

საწარმო დამოუკიდებლად იყენებს საამორტიზაციო ანარიცხების მთელ თანხას, რიცხავს რა მას წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდში ან ანალოგიური დანიშნულების სხვა ფონდში. გამომუშავებული სახსრების ხარჯზე იგი ახორციელებს ყველა სახეობის რემონტს.

4. **სოციალური განვითარების ფონდს** შრომითი კოლექტივი ახმარს სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ყოველმხრივ განმტკიცებას, მისი ობიექტების მოვლა-შენახვას, გამაჯანსაღებელი, კულტურულ-მასობრივი ღონისძიებების მოწყობასა და სხვა სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. საწარმოს აქვს უფლება შრომითი კოლექტივის თანხმობით ამავე მიზნებს მოახმაროს აგრეთვე მატერიალური წახალისების ფონდის სახსრების ნაწილი.

მუხლი 4. საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სახსრები

1. საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სახსრები, ანუ მის განკგებლობაში არსებული ქონება, შეადგენენ ძირითად ფონდებსა და საბრუნავ საშუალებებს, აგრეთვე სხვა საფინანსო რესურსებს.

საწარმო ვალდებულია ნიადაგ უზრუნველყოფდეს პროგრესულ საფუძველზე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კვლავწარმოებას, ეფექტიანად იყენებდეს საწარმოო სიმძლავრეებსა და ძირითად ფონდებს.

2. საწარმოო პოტენციალის სრული უკეთესის მიღწევის მიზნით საწარმო ამყარებს მუშაობის **ორცვლიან,** უნიკალურ და ძვირადღირებულ მოწყობილობაზე და იქ, სადაც საჭიროა წარმოების პირობების მიხედვით, **სამ-ან ოთხცვლიან რეჟიმს.** საწარმომ მუშაობის სხვა რეჟიმი შეიძლება გამოიყენოს ზემდგომი ორგანოს ნებართვით, რომელიც შეთანხმებული იქნება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოსთან.

3. საწარმოს საბრუნავი საშუალებანი მის სრულ განკარგულებაშია და ამოღებას არ ექვემდებარება. საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნაკლებობას საწარმო ინაზღაურებს კოლექტივის სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავლის ხარჯზე, მათი შევსება კი ხორციელდება საკუთარი რესურსებიდან. საწარმო ვალდებულია უზრუნველყოს საბრუნავი საშუალებების რაციონალური გამოყენება და ბრუნვადობის დაჩქარება.

4. საწარმოს აქვს უფლება:

გადასცეს სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს, გაყიდოს, გაცვალოს, იჯარით გადასცეს, უსასყიდლოდ მისცეს დროებით სარგებლობაში ან სესხად გამოიყენებელი შენობები, ნაგებობანი, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, ინვენტარი, ნედლეული და სხვა მატერიალური ფასეულობანი, აგრეთვე ჩამოწეროს ისინი ბალანსიდან, თუ გაცვეთილი და მორალურად მოძველებულია;

გადასცეს მატერიალური და ფულადი რესურსები, მათ შორის შრომითი კოლექტივის თანხმობით ეკონომიკური სტიმულირების ფონდების სახსრები, სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ასრულებენ საწარმოსათვის სამუშაოებს ან უწევენ მომსახურებას.

გამოუყენებელი ქონების რეალიზაციით მიღებული ამონაგები და საიჯარო ქირა აღნიშნულ შემთხვევებში იგზავნება წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდში, ხოლო სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის გადაცემის, აგრეთვე ქონების გაყიდვისა და ჩამოწერის დროს წარმოქმნილ ზარალს საწარმო ფარავს საწარმოს ეკონომიკური სტიმულირების შესაბამისი ფონდების ხარჯზე.

II. საწარმოს (გაერთიანების) მართვა და შრომითი კოლექტივის თვითმმართველობა

მუხლი 5. გაერთიანებისა და საწარმოს სტრუქტურა

1. სახალხო მეურნეობის დარგებში სამეურნეო საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების, მართვის სტრუქტურისა და ორგანიზაციის თავისებურებათა შესაბამისად მოქმედებენ სხვადასხვა სახეობის გაერთიანებანი და დამოუკიდებელი საწარმოები. ძირითადი სახეობათა გაერთიანებებია საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები. გაერთიანება სტრუქტურული ერთეულების და მის შემადგენლობაში შემავალი დამოუკიდებელი

(გაგრძელება ფე-2 გვ.)

სტიქია და ადამიანები

ალგათ არასდროს, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე საქართველოს არ განუცდია სტიქიის ისეთი შემოტევა, როგორც ამ ზამთარს. მისი მასშტაბი უდიდესია, შედეგები — დამანგრეველი. ბორციელდება ყველა ღონისძიება, რათა შეეამსუბუქოთ უბედურება, დავეხმაროთ გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანებს.

რედაქციაში შოდის რესპუბლიკის მცხოვრებთა ათობით წერილი, განუწყვეტლივ ისმის ტელეფონის ზარი, ადამიანებს აინტერესებს ბევრი საკითხი, მომხდარ ავტაკლიზმებთან დაკავშირებით.

კითხვა: რა მატერიალურ დახმარებას გაუწევენ სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულთ?

ივანე ბარტაშვილი, რესპუბლიკის სახდაზღვევის მთავარი სამმართველოს უფროსი: ამჟამად სტიქიური უბედურებს რაიონებში მუშაობს სამმართველოს ავარიის პრაქტიკოსთან ერთად ყველა თანამშრომელი, რომლებიც ეხმარებიან ადგილობრივ კოლეგებს უფრო სწრაფად და სრულად განსაზღვრონ ზარალი, აჩქარმა რომ მიაყენა მოქალაქეთა პირად ქონებას. შეგახსენებთ, რომ პირადი სარგებლობის ყველა საცხოვრებელი სახლი სავალდებულო წესით დაზღვეულია მათი ღირებულების 40 პროცენტის ფარგლებში. ასე, რომ ზარალი, რომელიც მიადგა ნაგებობებს, ანაზღაურებული იქნება ამ ციფრის ფარგლებში. იმათ კი, ვინც ნებაყოფლობით დაეზღვია თავისი სახლი დიდ თანხად, დაზღვევის მისაცემლები შესაბამისად გაუდიდდებათ.

დაზარალებულ რაიონებში იგზავნება დიდი მატერიალური და ფინანსური სახსრები. გარდა ამისა, ფინანსთა სამინისტრომ მითითება მისცა ადგილობრივ საფინანსო განყოფილებებს ყველა დაზარალებულ ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუყოვნებლივ გადაუხადოს 300-300 მანეთი.

კიმ სვანაძე, სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველის მოადგილე: გრძელდება ნებაყოფლობითი ფულადი გზავნილების მასობრივი შემოსვლა საქართველოს შრომითი კოლექტივებისაგან, მისი ცალკეული მცხოვრებლებისაგან. ადამიანები თავიანთ ნაშრომ ფულს რიცხავენ სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულთა დახმარების ფონდში. მაგალითად, საქართველოს პროფკავშირთა კომერტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს მუშაკებმა უკვე გადარიცხეს 55 ათასი მანეთი. რესპუბლიკის კინემატოგრაფისტა კავშირმა — 50 ათასი მანეთი. ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტმა — 45 ათასი, საქართველოს ხელოვნების მუზეუმმა — 28 ათასი მანეთი, თეატრალურ მოღვაწეთა კავშირმა — 14 ათასი მანეთზე მეტი.

ტელეგრაფი შეუჩერებლად მუშაობს. შრომითი კოლექტივები, ცალკეული მოქალაქენი გვატყობინებენ, რომ სურთ შეძლებისდაგვარად დახმარება გაუწიონ გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანებს. აი ზოგიერთი დეპეშა:

„ჩვენი მეურნეობის კოლექტივმა გადაწყვიტა ზესტაფონის მშრომელებს გაუგზავნოს 10 ტონა კარტოფილი და ხორბალი, 50 ტონა საკვები.

ვანიკ ალექსანიანი, ახალქალაქის რაიონის იხტალის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

„სამი შვილი მყავს, მზად ვარ ვაშვილო ბავშვი, რომელმაც დაკარგა მშობლები უბედურების შედეგად.

გულნარა მიქაძე, საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის გამოთვლითი ცენტრის უფროსი ინჟინერ-პროგრამისტი.

„ჩოხატაურში მაქვს ორსართულიანი სახლი, რომლებიც მშობლებისგან მემკვიდრეობით დამრჩა. ვთავაზობ მას სტიქიისაგან დაზარალებულთ“.

ნანული თოთლაძე, ბათუმის ტურისტული სახტუმრო „ფესხეთის“ დირექტორი.

ბათუმიდან მიღებულ ამ დეპეშას განმარტავს საქინფორმის საკუთარი კორესპონდენტი აჭარის რესპუბლიკაში თამაზ გენძეხაძე: „სტიქიამ გვერდი აუარა ავტონომიურ რესპუბლიკას. მაგრამ მისმა მცხოვრებებმა გულთან ახლო მიიტანეს მეზობლების გასაჭირი. ახლა, როცა ამ სტრიქონებს გადმოგცემთ, ქობულეთის რაიონის შემხვედელ სალაროებში რიგები დადგა.

რედაქციაში კვლავ ისმის ტელეფონის ზარი. ერთ-ერთი კითხვა ეხება აფხაზეთის მდგომარეობას. ჩვენ ვთხოვეთ მასზე პასუხი გაეცა საქინფორმის საკუთარ კორესპონდენტს ამ ავტონომიურ რესპუბლიკაში თენგიზ ჯიბუტს. აი რას გვატყობინებს იგი: „ძლიერი თოვა მთებში და კოკისპირული წვიმები ზღვისპირა ვლილებში მცხოვრებთ უსიამო სიურპრიზებს უმზადებს. ინტენსიურმა ნალექებმა მდინარეების ბესლეთისა და გუმისტის აღიდება გამოიწვია. წყალდიდობა ხანმოკლე, მაგრამ ძლიერი იყო. დაიტბორა ათობით სახლი, დაინგრა სამეურნეო ნაგებობანი და შენობები. ადამიანები, საბედნიეროდ არ დაზარალებულან.

წყალდიდობის შედეგები იფხვრება, საქალაქო სამსახურები სადღეღამისო ვახტზე დგანან.

საკუთარი სიძნელეების მიუხედავად, აფხაზეთის მცხოვრებლები პოულობენ საშუალებას დაეხმარონ იმათ, ვისაც კიდევ უფრო უჭირს. ვიყავი სოხუმის სალოკომოტივო დეპოს კოლექტივის კრებაზე. მემანქანე ინსტრუქტორის სერგი გვალიას წინადადებით გადწყდა დამკვრელური მუშაობისათვის გამოყოფილი მთელი პრემია — ეს კი თითქმის 20 ათასი მანეთია — გადაეცეს დაზარალებულთა დახმარების ფონდს. ასეთი მაგალითი ავტონომიურ რესპუბლიკაში ბევრია.

ხაზზეა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფელიქს სანაკოევი: „იანვრიდან მოყოლებული ჩვენთან მოვიდა ნალექების ხუთი თვის ნორმა. ამან მაღალმთიანეთში ზვავების ჩამოწოლა, ოლქის ცენტრში წყალდიდობა გამოიწვია. დაინგრა ასობით კილომეტრი ელექტროგადამცემი ხაზები, დაზიანდა დაახლოებით ასი კილომეტრი კავშირგაბმულობის ხაზები.

სტიქიის წინააღმდეგ საბრძოლველად დაარაზმნენ ადგილობრივი საწარმოების, ორგანიზაციების მშრომელები, შეიქმნა მოხალისეთა რაზმები. შემეხვიდოთ ოლქებში მოგვარდა ელექტროენერგიის მიწოდება. ახლა მხოლოდ დაახლოებით ოცდაათი კილომეტრი სიგრძის მაგისტრალია გასაწმენდი როკის გვირაბამდე, გასაყვანია გზები ჯავისა და ლენინგორის რაიონების მაღალი მთის სოფლებამდე. სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებს საშენი მასალებითა და მძიმე ტექნიკით აქტიურად ეხმარებიან ხაშურის რაიონი და ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიონი.

ერთი საინტერესო დეტალი: ამ ძნელ დღეებში ადამიანები მხოლოდ ერთმანეთისათვის როდი ზრუნავენ. მთებში ჩარჩენილ მგზავრებს ვერტმფრინავებით რეგულარულად აწვდიან საკვებს.

კითხვა: მთის ზოგიერთ რაიონთან შეწყდა საავტომობილო მიმოსვლა. როგორ ხორციელდება მოსახლეობის უზრუნველყოფა ძირითადი სახეობათა პროდუქტებით, საწვავითა და ხანძარსაშრობელით?

ომარ კაციტაძე, საქართველოს სსრ პურპროდუქტების მინისტრის მოადგილე: უმთავრესად ვერტმფრინავებს ვიყენებთ. სწრაფი განტვირთვის მიზნით ფქვილი და კომბინირებული საკვები ტომრებად არის დაფასოებული. მაგალითად, ლენტეხის, ამბროლაურისა და ცაგერის რაიონებში უკვე მიტანილია 10 ტონა ფქვილი და საკვები. პური ცხვება ყველა დაზარალებულ რაიონში. ადგილებზე ოპერატიულად მიღებული ზომების მეოხებით გადარჩენილია ათობით ტონა ფქვილი, მარცვლეული, ბურღულეული.

ავთანდილ წილოსანი, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე: წყალდიდობით დატბორილ და ზვავგადავლილ რაიონებში საპაერო გზით გაგზავნა ნახევარი მილიონი მანეთის ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საწოლები და ქვეშაგები, ტელევიზორები და მაცივრები. ხობისა და ცხაკაიას რაიონების მშრომელებს დამატებით გამოეყოთ სურსათ-სანოვაგე, ერბო-კარაქი, და ზეთი, ხორცი, ყველი, ფრინველი, ხორცის, რძისა დ თევზის კონსერვები. ყველა დაზარალებული რაიონი საკმარისად არის უზრუნველყოფილი სურსათითა და უბერველესი საჭიროების საქონლით.

კიტა შავიშვილი, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე: მობილიზებულია მთელი რესურსები. ადგილებში, სადაც ელექტრომომარაგების შეფერხებაა, საძრეწველო და სასურსათო საქონლის გარდა, გაგზავნილია 150 ტონა ნავთი, ვაგონი ფანერა, 1500 გაზქურა, საჭირო ავეჯი.

ბურაბ ძერაშვილი, საქართველოს სსრ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე: ყველა დაზარალებული რაიონის მცხოვრებნი უზრუ-

(დასასრული ფე-4 გვ.)

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების)

კანონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

საწარმოების ტერიტორიული განლაგების მიუხედავად ფუნქციონირებს როგორც ერთიანი საწარმოო-სამეურნეო კომპლექსი, უზრუნველყოფს დარგის და ტერიტორიების განვითარების ინტერესების ორგანული შეხამებას. იგი თავის საქმიანობას ახორციელებს ერთიანი გეგმისა და ბალანსის საფუძველზე.

საწარმო და გაერთიანება წარმართავენ თავიანთი პროდუქციის საფირმო მომსახურების და საფირმო ვაჭრობას, ამისათვის საჭიროებების შემთხვევაში ქმნიან შესაბამის ქვეგანაყოფებს.

2. საწარმოო გაერთიანება იქმნება ცალკეულ სახეობათა პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) გამოშვებისათვის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის, წარმოების განვითარებული საგნობრივი სპეციალიზაციის, უფრო ეფექტიანი გამოყენების, კოოპერირებისა და კომბინირების საფუძველზე. იგი შედგება სტრუქტურული ერთეულებისაგან, რომლებიც ეწევიან სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო, სავაჭრო და სხვა საქმიანობას. გაერთიანების შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური ორგანიზაციები და სხვა სტრუქტურული ერთეულები.

3. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება იქმნება უმოკლეს ვადებში იმ მანქანათა დიდფუძტიანი კომპლექსების, მოწყობილობის, ხელსაწყოების, ტექნოლოგიური პროცესებისა და მასალების შემუშავებისა და წარმოებისათვის, რომლებიც განსაზღვრავენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს შესაბამისი მიმართულებებით და რომლებსაც უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ. იგი იქმნება სამეცნიერო-კვლევითი (საპროექტო-საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური) ორგანიზაციების ან საწარმოების (საწარმოო-გაერთიანებები) ბაზაზე, რომელებსაც განვითარებული საკონსტრუქტორო და საცდელ-საექსპერიმენტო ბაზა აქვთ.

4. საწარმო შედგება შინაგანი სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე მოქმედი ქვეგანაყოფებისაგან: წარმოებების, საამქროების, განყოფილებების, უბნების, ფერმების, ბრიგადების, რგოლების, ბიუროების, ლაბორატორიებისაგან და ა. შ.

შინაგანი სამეურნეო ანგარიშის ან კოლექტიური იჯარის საწყისებზე მოქმედ საწარმოს ქვეგანაყოფებს შეიძლება გამოეყოთ საწარმოს მიერ დადგენილი წესით მატერიალური წახალისებისა და სოციალური განვითარების ფონდების ნაწილი, რომელთა ოდენობა დამოკიდებულია ამ ქვეგანაყოფების საქმიანობის შედეგებზე.

5. გაერთიანებაში მისი **სტრუქტურული ერთეულები** მოქმედებენ სამეურნეო საწყისებზე და მათ შესახებ გაერთიანების მიერ დამტკიცებული დებულებების შესაბამისად, შედგებიან ქვეგანაყოფებისაგან. სტრუქტურულ ერთეულს შეიძლება ჰქონდეს ცალკე ბალანსი და ანგარიში ბანკის დაწესებულებებში.

გაერთიანება სტრუქტურულ ერთეულს აძლევს საკრო ძირითად ფონდებსა და საბრუნავ საშუალებებს, განსაზღვრავს შიდასამეურნეო ურთიერთობის განხორციელებისა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის დავის გადაწყვეტის წესს, აგრეთვე პასუხისმგებლობას მათ მიერ თავიანთი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის.

სტრუქტურული ერთეული კანონმდებლობითა და გაერთიანების მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში განაგებს მიმაგრებულ ქონებას და გაერთიანების სახელით დებს სამეურნეო ხელშეკრულებებს სხვა ორგანიზაციებთან.

გაერთიანებას შეუძლია სტრუქტურულ ერთეულს მიანიჭოს უფლება დადოს სამეურნეო ხელშეკრულებანი სტრუქტურული ერთეულის სახელით და იკისროს ამ ხელშეკრულებათა მიხედვით პასუხისმგებლობა მიმაგრებული ქონებისათვის. მისი უკმარისობის შემთხვევაში პასუხისმგებლობას სტრუქტურული ერთეულის ვალდებულების გამო გაერთიანება კისრულობს.

სტრუქტურული ერთეული აყალიბებს მატერიალური წახალისებისა. და სოციალური განვითარების ფონდებს გაერთიანების მიერ განსაზღვრული წესით და მისი საქმიანობის შედეგების მიხედვით. სტრუქტურული ერთეულის ამ ფონდების სახსრები არ ექვემდებარება ამოღებას მის შრომითს კოლექტივთან შეუთანხმებლად. გაერთიანებას უფლება აქვს სტრუქტურული ერთეულის განკარგულებაში გამოყოს წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდის, აგრეთვე სხვა ფონდების ნაწილი.

6. გაერთიანების შემადგენლობას ამტკიცებს ზემდგომი ორგანო, გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი **სტრუქტურული ერთეულების** სტრუქტურას — **გაერთიანება, საწარმოსა** და მისი ქვეგანაყოფების **სტრუქტურას — საწარმო.**

გაერთიანებაში შეიძლება შედიოდნენ დამოუკიდებელი საწარმოები, რომლებიც სარგებლობენ უფლებებით ამ კანონის შესაბამისად. გაერთიანება ასევი საწარმოების მიმართ ახორციელებს ზემდგომი ორგანოს ფუნქციებს, აქვს უფლება მოახდინოს მოლიანად ან ნაწილობრივ მათი ცალკეული საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების შესრულების ცენტრალიზაცია.

მუხლი 6. საწარმოს მართვა

1. საწარმოს მართვა ხორციელდება დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის, ცენტრალიზებული ხელმძღვანელობისა და შრომითი კოლექტივის სოციალისტური თვითმმართველობის შეხამების საფუძველზე.

სოციალისტური თვითმმართველობა ხორციელდება უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შეუავებისა და მათი შესრულებისადმი კონტროლში მთელი კოლექტივისა და მისი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობის, ხელმძღვანელთა არჩევითობისა და საწარმოს მართვაში ერთმმართველობის გზით. თვითმმართველობის საფუძველზე უზრუნველყოფილია მშრომელთა მეცადინეობის გაერთიანება და ინიციატივის განვითარება მუშაობის დიდი შედეგების მიღწევისათვის, მუშაკთათვის ორგანიზებულობისა და დისციპლინის ჩასანერგად, მათი პოლიტიკური შეგნების ასამაღლებლად.

საწარმოში პარტიული ორგანიზაცია, როგორც კოლექტივის პოლიტიკური ბირთვი, მოქმედებს სსრ კავშირის კონსტიტუციის ფარგლებში, წარმართავს მთელი კოლექტივის, მისი თვითმმართველობის ორგანოების, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობას და კონტროლს უწევს ადმინისტრაციის საქმიანობას.

2. საწარმოში ხორციელდება **ხელმძღვანელთა** არჩევითობა, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელი კადრების თვისებრივი შემადგენლობის გაუჯობესებასა და საქმიანობის შედეგებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერებას, არჩევითობის პრინციპი გამოიყენება საწარმოთა, სტრუქტურულ ერთეულთა, გაერთიანებათა, წარმოებათა, საამქროთა, განყოფილებათა, უბანთა, ფერმათა და რგოლთა ხელმძღვანელებს, აგრეთვე ოსტატთა და ბრიგადირთა მიმართ. სოციალურ-ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც საწარმო საქმიანობას ეძღვნება, ამუშავებს და იღებს ხელმძღვანელი შრომითი კოლექტივი, მასში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით მათი წესდებებისა და კანონმდებლობის შესაბამისად.

3. საწარმოს, გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ირჩევს შრომითი კოლექტივის საერთო კრება (კონფერენცია) ფარული ან ღია კენჭისყრით, (კრების ან კონფერენციის შეხედულებისამებრ) 5 წლის ვადით და ამტკიცებს ზემდგომი ორგანო. საწარმოს, გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს თანამდებობიდან ათავისუფლებს ზემდგომი ორგანო შრომითი კოლექტივის საერთო კრების (კონფერენციის) ან მისი რწმუნებულის — შრომითი კოლექტივის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

შრომითი კოლექტივის მიერ არჩეულ მეთაური სტრუქტურული ერთეულის (მეთაური საწარმოს) ხელმძღვანელს ამტკიცებს ზემდგომი ორგანო გაერთიანების ხელმძღვანელის თანამდებობაზე. თანამდებობიდან მისი განთავისუფლება იმავე წესით ხდება.

ქვეგანაყოფების — წარმოებების, საამქროების, განყოფილებების, უბნების, ფერმებისა და რგოლების ხელმძღვანელებს, აგრეთვე ოსტატებსა და ბრიგადირებს შესაბამისი კოლექტივები ირჩევენ იმავე წესით 2-3 წლის ვადით და ამტკიცებს საწარმოს ხელმძღვანელი. აღნიშნულ ხელმძღვანელებს თანამდებობიდან ათავისუფლებს საწარმოს ხელმძღვანელი შესაბამისი ქვეგანაყოფის კოლექტივის გადაწყვეტილების საფუძველზე.

4. **ერთმმართველობა** საწარმოში თვითმმართველობის სისტემის დროს გამოხატავს შრომითი კოლექტივის ნებასა და სახელმწიფოს ინტერესებს, მას უზრუნველყოფს ხელმძღვანელი — გენერალური დირექტორი, დირექტორი, უფროსი, მმართველი. ხელმძღვანელს ენიჭება გარკვეული უფლებები საწარმოს საქმიანობის ორგანიზაციისათვის, პასუხისმგებლობა მისი შედეგებისა თვის შრომითი კოლექტივისა და სახელმწიფოს წინაშე, უზრუნველყოფს კანონმდებლობის დაცვას. იგი ხელმძღვანელობს ადმინისტრაციის მუშაობას და ამხელს საჭირო სამეურნეო ოპერაციებს.

გაერთიანების მართვას ახორციელებენ ხელმძღვანელი და გაერთიანების მეთაური სტრუქტურული ერთეულის (მეთაური საწარმოს) ადმინისტრაცია და ეწყობა, როგორც წესი, ორრგოლიანი სისტემით, ამასთან უშუალოდ ექვემდებარება სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტს, უწყებას.

5. **შრომითი კოლექტივის უფლებამოსილებათა განხორციელების ძირითადი ფორმაა საერთო კრება (კონფერენცია).**

შრომითი კოლექტივის საერთო კრება (კონფერენცია):

ირჩევს საწარმოს ხელმძღვანელს, შრომითი კოლექტივის საბჭოს, ისმენს ანგარიშებს შრომითი კოლექტივის უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის მათი საქმიანობის შესახებ;

იხილავს საწარმოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების პროექტებს, განსაზღვრავს შრომის ნაყოფიერებისა და მოგების (შემოსავლის) გადიდების, წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების, საერთო-სახალხო საკუთრების დაცვისა და გამრავლების, წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, როგორც კოლექტივის ცხოველქმედების, განმტკიცების გზებს;

იწონებს კოლექტიურ ხელშეკრულებას და პროფკავშირულ კომიტეტს ანიჭებს რწმუნებებს ხელი მოაწეროს მას საწარმოს, ადმინისტრაციასთან შრომითი კოლექტივის სახელით; იღებს სოციალისტურ ვალდებულებებს; ადმინისტრაციისა და პროფკავშირული კომიტეტის წარდგენით ამტკიცებს შინაგანი შრომითის განაწესს;

იხილავს საწარმოს საქმიანობის სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

6. საწარმოს შრომითი კოლექტივის კრებას (კონფერენციას) იწვევს შრომითი კოლექტივის საბჭო საჭიროების კვალობაზე, ორჯერ მაინც წელიწადში. კრებებს (კონფერენციებს) განსაზღვრელად საკითხები ისმება შრომითი კოლექტივის საბჭოს, ადმინისტრაციის, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივით.

7. საწარმოს შრომითი კოლექტივის საბჭო

1. კრებებს (კონფერენციებს) შუა პერიოდში შრომითი კოლექტივის რწმუნებებს ასრულებს **საწარმოს შრომითი კოლექტივის საბჭო.** საბჭო მთავარ ყურადღებას მიაპყრობს შრომელთა ინიციატივის განვითარებას, საერთო საქმეში თითოეული მუშაკის წვლილის გადიდებას, **ახორციელებს საწარმოს საქმიანობის მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევისა და კოლექტივის სამეურნეოფინანსურ-შრომისადმი.**

ეკონომიკური ნორმატივების (სამუშაოების) ფარგლებში ეძღვნება, ავსებს ადგილობრივ ეკონომიკურ ნორმატივებს, ადგენს ადგილობრივ ბიუჯეტის ფორმირებაში.

საწარმო თანამონაწილეობს სახალხო დეპუტატთა საბჭოსთან თავის მუშაობაში საწარმოების განვითარების დაჩქარებისა და ეფექტიანობის გადიდების რეზერვების გამოსავლენად და ასამოქმედებლად. იმ სახსრების ნაწილი, რომლებსაც საწარმოები ზრდის რეზერვების გამოყენებისა და რესურსების დაზოგვისათვის საბჭოების მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა განხორციელების ხარჯზე, გადაიცემა მოკავშირე (საოლქო დაყოფის არმქონე) და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განკარგულებაში შესაბამისი ტერიტორიების ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის მოსახმარად.

საწარმო მოკავშირე (საოლქო დაყოფის არმქონე), ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამის მინისტრთა საბჭოს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს უთანხმებს ობიექტების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებასა და ტექნიკურ-ეკონომიკურ განაგარიშებას, მშენებლობათა სატიტულო სიებს დადგენილი მაჩვენებლების მიხედვით.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები ხელს უწყობენ მოთხოვნილებანი, აგრეთვე მონაწილეობს ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებაში.

საწარმო თანამოქმედებს სახალხო დეპუტატთა საბჭოსთან თავის მუშაობაში საწარმოების განვითარების დაჩქარებისა და ეფექტიანობის გადიდების რეზერვების გამოსავლენად და ასამოქმედებლად. იმ სახსრების ნაწილი, რომლებსაც საწარმოები ზრდის რეზერვების გამოყენებისა და რესურსების დაზოგვის საბჭოების მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა განხორციელების ხარჯზე, გადაიცემა მოკავშირე (საოლქო დაყოფის არმქონე) და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განკარგულებაში შესაბამისი ტერიტორიების ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის მოსახმარად.

საწარმო მოკავშირე (საოლქო დაყოფის არმქონე), ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამის მინისტრთა საბჭოს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს უთანხმებს ობიექტების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებასა და ტექნიკურ-ეკონომიკურ განაგარიშებას, მშენებლობათა სატიტულო სიებს დადგენილი მაჩვენებლების მიხედვით.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები ხელს უწყობენ მათს ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების ეფექტიან საქმიანობას, საწარმოთა 2-3 ცალი შუშაობის გათვალისწინებით იღებენ ღონისძიებებს, რათა ამ საწარმოთა მუშაკებს ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების, ჯანდაცვის, კულტურის ორგანიზაციებმა, საქალაქო ტრანსპორტმა შეუქმნან მომსახურების ხელშემწყობი რეჟიმი, აგრეთვე უზრუნველყონ ბავშვთა დაწესებულებების მუშაობის შესაბამისი რეჟიმი.

5. ზემდგომი ორგანოს დავალებებისა და სახალხო დეპუტატთა საბჭოს გადაწყვეტილებების მიხედვით დაუგეგმავი მოცულობის სამუშაოებს ან მომსახურებას საწარმო ეწევა სამეურნეო ხელშეკრულებათა საფუძველზე და დანახარჯებს უნაზღაურებენ ის საწარმო-ორგანიზაციები, რომლებისთვისაც შეასრულეს აღნიშნული სამუშაოები.

საიჯარო ორგანიზაციების მიერ იმ ობიექტებზე გაწეული დანახარჯები, რომლებიც არ არის შეტანილი გეგმაში და არ მიუღიათ ბანკებს დასაფინანსებლად, არ ანაზღაურდება. აღნიშნული ობიექტების მიხედვით ხარჯების დასაფინანსებლად შემკვეთთა მიერ გათვალისწინებული სახსრები ამოღებულ იქნება და შეიძლება ზემდგომმა ორგანიზაციებმა მოახმარონ საცხოვრებელი სახლებისა და ბავშვთა დაწესებულებების დაფინანსებას.

III. საწარმოს საწარმოო და სოციალური საქმიანობა

მუხლი 10. დაგეგმვა

1. საწარმოს საქმიანობა იგეგმება დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის შესაბამისად გეგმების შემუშავება-განხილვაში შრომითი კოლექტივის ფართო მონაწილეობის საფუძველზე. მას განაპირობებს საჭიროება დაკმაყოფილდეს მოხმარებელთა მზარდი მოთხოვნილებანი და მოთხოვნა მაღალხარისხოვან პროდუქციაზე (სამუშაოებზე მომსახურებაზე) მინიმალური დანახარჯებით და უზრუნველყოფილ იქნეს კოლექტივის სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავლის როგორც მისი საწარმოო და სოციალური განვითარების თვითდაფინანსების, შრომის ანაზღაურების მთავარი წყაროს ზრდა.

2. ამოსავალი მაჩვენებლების საფუძველზე, რომელიც განისაზღვრება სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლეულისა და გრძელვადიანი პერსპექტივის ძირითად მიმართულებათა პროექტით, საწარმო შეიმუშავებს თავისი განვითარების წინადადებებს. იგი ითვალისწინებს ღონისძიებებს, რათა გაადარეთოოს წარმოება და აამაღლოს მისი ტექნიკური დონე, განაახლოს პროდუქცია და გაუუჯობესოს მისი ხარისხი შინაური და მსოფლიო ბაზრების მოთხოვნების შესაბამისად, უფრო სრულად გამოიყენოს მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები, ეტაპიურად მონაწილეობდეს საერთო-სახელმწიფოებრივ, დარგობრივ, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრამებსა და ეროობლივ პროგრამებში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან ერთად.

3. საწარმოთა საქმიანობის დაგეგმვისა და ორგანიზაციის ძირითადი ფორმაა ეკონომიკური და სოციალური განვითარების **ხუთწლიანი გეგმა** (დავალებათა წლების მიხედვით განაწილებით). საწარმო შეიმუშავებს ხუთწლიან გეგმას საკონტროლო ციფრების, გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების, სახელმწიფო შეკვეთების, აგრეთვე პროდუქციაზე (სამუშაოებზე, მომსახურებაზე) მოახმარებელთა შეკვეთების და ცენტრალიზებულად გასანაწილებელი მატერიალური რესურსების ლიმიტების საფუძველზე. ხუთწლიანი გეგმის შემუშავებისას საწარმო ითვალისწინებს საწარმოო სიმძლავრეთა უფრო სრულ გამოყენებას, იყენებს შრომის დანახარჯების, მასალა-ნედლეულის, ენერგიისა და სათბობის ხარჯის პროგრესულ მეცნიერულად დასაბუთებულ ნორმებს, ფარფოდ აქცევს სამეურნეო ბრუნვაში მეორეულ რესურსებს, იღებს წარმოების დანახარჯების შემცირებისა და მოგების ზრდისათვის.

საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული მაჩვენებლების უზრუნველსაყოფად საწარმო აყალიბებს წარმოების გეგმებს და სლებს სამეურნეო ხელშეკრულებებს პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) მიწოდებაზე სახელმწიფო შეკვეთების მიხედვით, აგრეთვე პროდუქციის ნომენკლატურის მიხედვით, რომელსაც დამოუკიდებლად გეგმავს მომხმარებელთა უშუალო შეკვეთების შესაბამისად. საწარმოს სახელმწიფო შეკვეთები მიიღება სავალდებულო წესით შესასრულებლად.

4. **წლიურ გეგმებს** საწარმო ამუშავებს მისი ხუთწლიანი გეგმის, დამტკიცებული ეკონომიკური ნორმატივების, სახელმწიფო შეკვეთების, დადებული სამეურნეო ხელშეკრულებებისა და პროდუქციაზე (სამუშაოებზე, მომსახურებაზე) მოთხოვნილების საფუძველზე. საწარმო დებს მიწოდების **ხელშეკრულებებს** უზრუნველყოფს მათს სრულ შესაბამისობას გეგმის, სახელმწიფო შეკვეთებისა და მომხმარებელთა უშუალო შეკვეთებისადმი.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მიწოდების ხელშეკრულებანი იღება სამთუშო ბაზრობებზე ნაწარმის თავისუფალი გაყიდვის შედეგად, რომლებიც წარმოადგენენ ასორტიმენტის დაგეგმვის, საქონლის ხარისხისა და იმ მაჩვენებლების გაუმჯობესების ბაზის, რომლებიც განსაზღვრავენ საწარმოს საწარმოო და სოციალურ განვითარებას.

მოთხოვნის არსებობისა და წარმოების დამატებითი რეზერვების და რესურსების გამოვლენის შემთხვევაში საწარმო შრომითი კოლექტივის ინიციატივით იღებს **შემცველ გეგმას,** რომელიც აღემატება ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებლებს. საწარმოსათვის ხუთწლიანი და წლიური გეგმებით დასაწესებელი მაჩვენებლების, ეკონომიკური ნორმატივებისა და ლიმიტების ნუსხას განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო. ზემდგომ ორგანოს არა აქვს უფლება საწარმოს დაუწესოს საგეგმო მაჩვენებლები, ნორმატივები და ლიმიტები, რომლებიც არ შეესაბამება ამ ნუსხას. საწარმოსათვის დაწესებული ეკონომიკური ნორმატივები სტაბილურია.

ამყარებენ სტაბილურ უშუალო ურთიერთობას სამეცნიერო-კვლევითს, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციებთან;

უდებენ გამოკვლევებისა და ნაშუშავრების შესრულების სამეეურნეო ხელშეკრულებებს სამეცნიერო დაწესებულებებს, უმაღლეს სასწავლებლებს, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა ორგანიზაციებს და სხვა საწარმოებს, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

5. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება მოვალეა ეკავოს ლიდერის მდგომარეობა დიდეფექტიანი ტექნიკის, ტექნოლოგიური პროცესებისა და ახალ თამბათა მასალების შექმნასა და ფართო გამოყენებაში. მას აკისრია პასუხისმგებლობა სახალხო მეურნეობაში გამოშვებული მისი პროფილის პროდუქციის „სამუშაოების, მომსახურების" მეცნიერულ-ტექნიკური დონისათვის.

სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციები მოვალენი არიან უზრუნველყონ გამოკვლევებისა და ნამუშევრების მაღალი დონე, შესასრულონ ისინი პროდუქციის, სამუშაოებისა და მომსახურების ხარისხისადმი პერსპექტივული მოთხოვნების შესაბამისად, შეიმუშაონ უმაღლესი მსოფლიო დონის პროდუქცია, პროგრესული სამუშაო და პრინციპულად ახლებური ტექნოლოგიები, აქტიურად შეუწყონ ხელი მათს ფართო გამოყენებას სახალხო მეურნეობაში. წარმოებაში ისეთი ნამუშევრების გადაცემისათვის, რომლებიც ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით არ შეესაბამება უმაღლეს მსოფლიო დონეს, აღნიშნულ ორგანიზაციებს აკისრიათ მატერიალური პასუხისმგებლობა, ხოლო მათს ხელმძღვანელებსა და შემმუშავებლებს — დისციპლინური პასუხისმგებლობა, აკლდებათ ხელფასი და მატერიალური წახალისება.

6. საწარმოები, საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები, სამეცნიერო ორგანიზაციები ფართოდ იყენებენ თავიანთ საქმიანობაში **მეცნიერულ-ტექნიკური შეჯიბრების სხვადასხვა ფორმას.** ქმნიან შემოქმედებით ატმოსფეროს შემოქმედების კოლექტივებში. მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემის ყველაზე ეფექტიანი გადაწყვეტის შერჩევის, მეცნიერთა, სპეციალისტთა და მუშათა ინიციატივის განვითარების მიზნით ეწყობა კონკურსები, პარალელური საკონსტრუქტორო და საპროექტო სამუშაოები, იქმნება დროებითი სამეცნიერო კოლექტივები, უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო პროდუქციის შემუშავება, როგორც წესი, ხორციელდება **საკონკურსო საფუძველზე.** საწარმოები, გაერთიანებები და ორგანიზაციები, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკური შეჯიბრების შედეგად წარმატებს მიაღწევენ და კონკურსში გაიმარჯვებენ, იძენენ პრიორიტეტს მატერიალური და მორალურ სტიმულირებაში, ზრდიან მოგებას (შემოსავალს).

დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსები აერთიანებენ საწარმოთა ძალისხმევას და კოორდინაციას უწევენ მათს გამოკვლევებს, საცდელ-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ სამუშაოებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მთავარი მიმართულებებით, აგრეთვე სამუშაოებს საცდელი ნიმუშების დასამზადებლად და სერიული წარმოებისათვის მოსამზადებლად.

7. საწარმო იღებს, რათა ჩაბას შრომითი კოლექტივის ყველა წევრი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, პროდუქციის ხარისხის, წარმოების ორგანიზაციისა და კულტურის დონის ამაღლების ამოცანების გადაწყვეტის საქმეში, ყოველი ღონისძიების ახალისებს მშრომელთა მეცნიერულ-ტექნიკურ შემოქმედებას. იგი ორგანიზაციას უწევს საწარმოში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციისათვის მიმდინარე მუშაობას, გამოცდილების გაზიარებას, აწყობს დათვალიერებებს; ქმნის ხარისხის ჯგუფებს, იყენებს ხარისხის გაუჯობესებაში მშრომელთა შემოქმედებითი მონაწილეობის სხვა ფორმებს; უზრუნველყოფს ტექნიკოგიური, საპატენტო და სალიცენზიო ინფორმაციის დაცვა-შენახვას.

მუხლი 12. ზრდა და რეკონსტრუქცია

1. საწარმო მოვალეა ეფექტიანად იყენებდეს საწარმოო პოტენციალს, ზრდიდეს მოწყობილობის მუშაობის ცვლიანობას, ახორციელებდეს მის გამოყენებულ ნაგებობებსა და ბუფეტებში ქვეყნის გასაიაფებლად, აქტიურად ავითარებს საკუთარ დამხმარე სოფლის მეურნეობას;

აუმჯობესებს მუშაკთა სამედიცინო მომსახურებას, იღვწის ავადობის შემცირებისათვის, უზრუნველყოფს კომპლექსურ მიდგომას პროფფსიქტიკური და სამკურნალო საქმიანობისადმი, უფასოდ უუმობს სათავსებს ჯანდაცვის დაწესებულებებს, აფართოებს და ამტკიცებს სამკურნალო-პროფილაქტიკურ ბაზას;

აქტიურად ავითარებს ფასიან მომსახურებას, იღვწის მუშაკთა მოთხოვნების ყველაზე სრული დაკმაყოფილებისათვის და ხელს უწყობს მათი თავისუფალი დროის რაციონალურ გამოყენებას.

4. იმ მიზნით, რომ **დაჩქარდეს სოციალური სფეროს მატერიალური ბაზის განვითარება და მუშაკთა და მათი ოჯახის წევრთა ჯანსაღი ყოფის, დასვენების პირობების შექმნა, საწარმო:**

ახმარს სოციალური განვითარების ფონდის სახსრების ძირითად ნაწილს საცხოვრებელი სახლების, ბავშვთა დაწესებულებებისა და სოციალური დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობას;

იღვწის, რათა უსწრაფესად უზრუნველყოს ყოველი მუშაკის ოჯახი ცალკე ბინით ან ინდივიდუალური სახლით და ახორციელებს მშენებლობას, მისი კუთვნილი საცხოვრებელი სახლების დროულ რემონტსა და ექსპლოატაციას თავისი სოციალური განვითარების ფონდისა და ბანკის კრედიტების ხარჯზე, აწყობს კოოპერატიულ მშენებლობას და ყოველმხრივ დახმარებას უწევს მუშაკებს ინდივიდუალურ სახლინო მშენებლობაში, იძლევა სესხს ამ მიზნით;

ავითარებს სამაგვრო ბაღებს, ბაგებს, პიონერთა ბანაკებისა და სხვა სამაგვრო დაწესებულებებს ქსელს;

(დასასრული მე-8 გვ.).

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების)

კანონი

(დასასრული)

აშენებს, არემონტებს და ექსპლოატაციას უწევს სანატორიუმ-პროფილაქტორიუმებს, პანსიონატებს, კულტურის სახლებს, ტურისტულ და სპორტულ ბაზებს, სხვა დასასვენებელ ობიექტებს;

ყოველმხრივ ავითარებს ფიზიკურ კულტურასა და სპორტს, მუშაკებისა და მათი ოჯახის წევრების შემოქმედებითს თვითმოქმედებას;

ხელს უწყობს კოლექტიური მეგობრობისა და მეგობლურობის განვითარებას;

ანაწილებს ბინებს, დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების საგზურებს, საბაღე და საბოსტნე ნაკვეთებს და სხვა სოციალურ სიკეთეს და დახმარებას. საწარმოს ნება ეძლევა რიგგარეშე გამოუყოს ბინები ცალკეულ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებსა და სხვა მუშაკებს მათი შრომითი წვლილის გათვალისწინებით, მატერიალურად წაახალისოს სამედიცინო, საბავშვო, კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკები, რომლებიც ემსახურებიან შრომითს კოლექტივს და არ შედიან მის შემადგენლობაში.

5. საწარმოს შრომითი კოლექტივი ხელს უწყობს ოჯახის განმტკიცებას, ხელშემწყობ პირობებს იქმნის ქალებს, რათა მათ წარმატებით შეუხამონ დედობა შრომითსა და საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობას. ქალების შრომასა და ყოფაცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები უნდა წყდებოდეს ქალთა საბჭოს აქტიური მონაწილეობით.

6. შრომითი კოლექტივები **ნიადაგ ზრუნავენ შრომის ვეტერანების, ომის მონაწილეების, პენსიონერების, ინვალიდებისა და ბავშვებისათვის,** არ აკლებენ მათ ყურადღებას, უწევენ საჭირო დახმარებას, ქმნიან პირობებს, რათა შრომისუნარიანი პენსიონერები და ინვალიდები ჩაიბან შეძლებისდაგვარ მუშაობაში, კოლექტივის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აძლევენ საწარმოს ხელთ არსებულ შესაძლებლობებს სამედიცინო და სხვა მომსახურებისათვის, დასვენებისა და თავისუფალი დროის გამოყენებისათვის. საწარმო მონაწილეობს ხანდაზმულებისა და ინვალიდებისათვის სახლების შენებლობაში, შეფობას უწევს საბავშვო ბაღებს, ინტერნატებს, ბავშვთა სახლებს და მატერიალურად და ფინანსურად ეხმარება მათ.

7. **საწარმო აქტიურად უწყობს ხელს სკოლების** და სხვა სასწავლებლების **ეფექტიან მუშაობას,** მოსწავლეთა ჩაბმას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, მას შეუძლია დაფინანსოს საკუთარი სახსრების ხარჯზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების და სხვა სასწავლებლების რემონტი, აღჭურვა, აგრეთვე მშენებლობა, შექმნას სასკოლო და სასკოლოთშორისო სპორტული-ნოები, სასწავლო-საწარმოო კომბინატები, საამქროები, გაგზავნოს სპეციალისტები ოსტატებად მოსწავლეთა სწავლებისათვის. საწარმოს შეუძლია შენობა, მოწყობილობა, ხელსაწყოები, ინსტრუმენტები და მასალები უსასყიდლოდ მისცეს ან დაგასესხოს სკოლებს, სხვა სასწავლებლებსა და საბავშვო დაწესებულებებს.

საწარმო, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას ან პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს არის მიმაგრებული როგორც საბაზო, ორგანიზაციას უწევს მათი მოსწავლეების შრომითს მომზადებას და ქმნის საამისოდ საჭირო პირობებს.

მუხლი 14. შრომა და ხელფასი

1. სსრ კავშირის მოქალაქენი საწარმოში ახორციელებენ თავიანთი შრომისა და შრომის შედეგების, ოდენობისა და ხარისხის შესაბამისად მისი ანაზღაურების კონსტიტუციურ უფლებას.

ყველი მუშაკის ვალია პატიოსნად და კეთილსინდისიერად იშრომოს, გაზარდოს შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი, გაუფრთხილდეს სახალხო დოვლათს და ამრავლოს იგი, დაიცვას შრომის დისციპლინა.

საწარმო ვალდებულია ეფექტიანად გამოიყენოს მუშაკთა შრომა და ამ საფუძველზე მიაღწიოს კოლექტივის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, მისი საწარმოო და სოციალური განვითარების ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტას. მან მატერიალურ სტიმულირებასთან ერთად ფართოდ უნდა გამოიყენოს შრომაში მაღალი მიღწევებისათვის მუშაკთა მორალური წახალისების სხვადასხვა ფორმა.

2. **შრომითი პოტენციალის უფრო სრული გამოყენებისა** და ყოველი მუშაკის მაღალნაყოფიერი საქმიანობის პირობების შექმნისათვის **საწარმო:**

ადგენს შრომის მეცნიერულად დასაბუთებულ ნორმებს და წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკური პირობების გაუმჯობესების კვალობაზე გადასინჯავს მათ;

იღებს პერსონალის ნაკლები რიცხვით მზარდი მოცულობის სამუშაოთა შესრულებისათვის;

აწყობს სამუშაო ადგილების ატესტაციასა და რაციონალიზაციას, განსაზღვრავს მათ საჭირო რაოდენობას და აუქმებს ზედმეტ სამუშაო ადგილებს;

ადგენს მუშაკთა შრომის ორგანიზაციის ფორმებსა და სამუშაოთა თანრიგებს, ანაწილებს თანრიგებს მუშებს, ნერგავს შრომის მოწინავე მეთოდებსა და ხერხებს;

ადგენს მუშაობის რეჟიმს, ამასთან უთანხმებს მას სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოს, აწესებს მოქნილ გრაფიკებს, იძლევა არასრული სამუშაო დღით მუშაობის უფლებას, აგვარებს შინ შრომას, აგრეთვე კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს დამატებითი შვებულებების ხანგრძლივობას.

საწარმო ახალისებს კეთილსინდისიერ შრომას, იგი ვალდებულია შექმნას დისციპლინის დამრღვევებისა და წუნისმკეთებლებისადმი შეუწყნარებლობის ვითარება, განახორციელოს მათ მიმართ მატერიალური, დისციპლინური და საზოგადოებრივი ზემოქმედების მკაცრი ღონისძიებანი.

3. შრომის ეფექტიანობის გადიდების, მუშაობის შედეგებისათვის კოლექტიური დაინტერესებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების, წარმოების საშუალებათა გამოყენებისადმი მუშაკთა უაორათიანი დამოკიდებულების გამომუშავების მიზნით საწარმო: იყენებს ბრიგადულ სამეურნეო ანგარიშსა და იჯარას შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ძირითად კოლექტიურ ფორმებად. ბრიგადაში აუცილებლობის შემთხვევაში შეჰყავს ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები;

საიჯარო ფორმაზე გადაჰყავს უბნები, საამქროები და სხვა ქვეგანაყოფები. ასეთი ქვეგანაყოფების მუშაობა გვარდება კოლექტივისა და ადმინისტრაციის ხელშეკრულებით, ამასთან საჭირო ქონება ეძლევა შესაბამის ქვეგანაყოფს და შრომა ნაზღაურდება გრძელვადიანი ნორმატივებით;

იყენებს საჭიროების შემთხვევაში ოჯახურ იჯარას.

4. საწარმო დადგენილი ნორმატივით აყალიბებს **ხელფასის ფონდს (შრომის ანაზღაურების ფონდს)** მუშაობის საბოლოო შედეგების მიხედვით. იგი ვალდებულია უზრუნველყოს დადგენილი ნორმატივების შესაბამისად შრომის ნაყოფიერების უპირატესი მატება საშუალო ხელფასის მატებასთან შედარებით.

საწარმო განსაზღვრავს მუშაკთა საერთო რიცხვს, მათ პროფესიულ და კვალიფიციურ შემადგენლობას, ამტკიცებს შტატებს.

ზემდგომი ორგანო უმტკიცებს საწარმოს ხელმძღვანელი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების ხელფასის ფონდის ნორმატივს. ამ ნორმატივის მიხედვით განსაზღვრული ხელფასის ფონდის ფარგლებში, წარმოების სპეციფიკისა და მის წინაშე მდგომი ამოცანების გათვალისწინებით საწარმო დამოუკიდებლად ადგენს მეცნიერი მუშაკების, კონსტრუქტორებისა და ტექნოლოგების ხელფასის ფონდის ნორმატივს, აგრეთვე ტექნიკური კონტროლის სამსახურების მუშაკთა ხელფასის ფონდის ნორმატივს და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ხელფასის ფონდის ნორმატივს. საწარმო მოვალეა უზრუნველყოს იმ სახსრების ნაწილის შედარებითი შემცირება, რომლებიც ხმარდება სამმართველო პერსონალის შენახვას.

5. საწარმო ვალდებულია შრომის ანაზღაურება გამოიყენოს, როგორც მისი ნაყოფიერების ზრდის სტიმულირების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის გადიდების უმნიშვნელოვანესი საშუალება. იგი უზრუნველყოფს შრომითი კოლექტივების მიერ გამომუშავებული სახსრების ხარჯზე ახალი სატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების შემოღებას.

საწარმოს აქვს უფლება:

განსაზღვროს მუშაკთა შრომის ანაზღაურების ფორმები და სისტემები, ამასთან არ დაუშვას გათანაბრება;

განსაზღვროს სამუშაო ადგილები, რომლებზეც ანაზღაურება წარმოებს გადიდებული სატარიფო განაკვეთებით, აგრეთვე შრომის კონკრეტული პირობების გათვალისწინებით დამატებითი შეღავათები მისცეს მუშა-მოსამსახურეებს.

შემოიღოს სართები პროფესიების (თანამდებობების) შეთავსებისათვის, მომსახურების ზონების გაფართოებისა ან შესრულებული სამუშაოების მოცულობის გადიდებისათვის შეთავსებული პროფესიების (თანამდებობების) ნუსხის შეუზღუდავად, დაწესოს სართები და დანამატები გამოთავისუფლებული მუშაკების სატარიფო განაკვეთების (თანამდებობრივი სარგოების) მიხედვით წარმოქმნილი ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე და მის ფარგლებში.

დაუწესოს ქვეგანაყოფების ხელმძღვანელებს, სპეციალისტებსა და მოსამსახურეებს თანამდებობრივი სარგოები საშტატო განრიგის მიხედვით საშუალო სარგოების დაუცველად და მათი რიცხვი თანაფარდობის გაუთვალისწინებლად;

განსაზღვროს მატერიალური წახალისების ფონდის გამოყენების კონკრეტული მიმართულებანი;

შეიმუშაოს და დაამტკიცოს სტრუქტურული ერთეულებისა და ქვეგანაყოფების მუშაკის, ხელმძღვანელი მუშაკის, კონსტრუქტორების, ტექნოლოგებისა და მოსამსახურეთა პრემიების წესი;

უზრუნველყოს უპირატესობა უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დამუშავებისა და წარმოებაში დანერგვასთან უშუალოდ დაკავშირებული კონსტრუქტორების, ტექნოლოგებისა და სხვა სპეციალისტების შრომის სტიმულირებაში.

6. შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების სრულყოფა, შრომითი კოლექტივის სოციალური განვითარების ღონისძიებანი და სოციალურ სიკეთეთა განაწილება საწარმოში ხორციელდება პროფკავშირული კომიტეტის მონაწილეობით.

მუხლი 15. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

1. საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა წარმოებს იმ საქიროების გათვალისწინებით, რომ იმუშაოს ეფექტიანად და რიტმულად, მომჭირნედ გამოიყენოს მატერიალური რესურსები დამტკიცებული ნორმატივის მიხედვით მათი მარაგის მინიმალური საჭირო დონის პირობებში.

ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შესაბამისად საწარმო განსაზღვრავს რესურსების საჭიროებას და იძენს მათ **ლიმიტების (ფონდების) მიხედვით ან სპეციალური ვაჭრობის წესით.** წარმოების გაფართოებისა და საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების, აგრეთვე წარმოების მატერიალური დანახარჯების შემცირებაზე სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების ზემოქმედების გაძლიერების კვალობაზე **საბითუმო ვაჭრობა უნდა გაფართოვდეს** და საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის **ძირითადი ფორმა გახდეს.**

2. მატერიალურ-ტექნიკური მოგარაგების ორგანოები მოვალენი არიან დროულად დააკმაყოფილონ მატერიალურ რესურსებზე საწარმოთა დასაბუთებული მოთხოვნილება. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ტერიტორიულ ორგანოებს ეკისრებათ ეკონომიკური პასუხისმგებლობა საწარმოთა შეკვეთების სრული დაკმაყოფილებისათვის.

საწარმოს უფლება აქვს ხელშეკრულებები დაუდოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანოებს კომპლექსური მომარაგების ორგანოებსა, მისაწოდებელი მასალების საწარმოო მოხმარებისათვის წინასწარი მომზადების, ტექნიკური საშუალებების გაქირავების, საინფორმაციო უზრუნველყოფის, სხვა მომსახურების შესრულების შესახებ.

3. მომხმარებელ საწარმოს უპირატესი უფლება აქვს, შეინარჩუნოს დამამზადებლებთან დამყარებული პირდაპირი ხანგრძლივი სამეურნეო ურთიერთობა და გაფართოოს იგი, ირჩევს მიწოდების ფორმას. უშუალოდ დამამზადებლის მიერ ან მომმარაგებელ-გამსაღებელი საწარმოს მეშვეობით.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანოებს ეკრძალებათ თვითნებურად გადასინჯონ საწარმოთა შორის დამყარებული პირდაპირი ხანგრძლივი ურთიერთობა.

4. თუ საწარმოს სისტემატურად აწვდიან პროდუქციას, რომელიც ხარისხით ვერ აკმაყოფილებს მომქმედ სახელმწიფო სტანდარტებს, ტექნიკურ პირობებს ან დადებულ ხელშეკრულებებს, აგრეთვე თუ საწარმოს გადასცემენ უხარისხო საპროექტო და ტექნიკურ დოკუმენტაციას, მას აქვს უფლება ცალმხრივი წესით მოშალოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან ან დამმუშავებელთან და მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლის შედეგად წარმოქმნილი ზარალის ანაზღაურება.

5. გამგზავნ საწარმოს ეკისრება პასუხისმგებლობა ტვირთის წარდგენის, დადასაზიდ საშუალებების მოცდენისა და უკმარდატვირთვისათვის, სატრანსპორტო საწარმოს კი — პროდუქციის მიწოდებისა და გადმოტვირთვისათვის გეგმით ან ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალებების მიწოდების ჩაფუშვისათვის, ტვირთის დროული მიწოდებისა და მისი დაცვა-შენახვისათვის მიყენებული ზარალის ოდენობით.

მუხლი 16. პროდუქციის, სამუშაოებისა და მომსახურების რეალიზაცია

1. საწარმო ასაღებს თავის პროდუქციას, ასრულებს სამუშაოებს და მომსახურებას ეწევა მომზარდებლებთან, ვაჭრობისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საწარმოებთან სამეურნეო ხელშეკრულებათა შესაბამისად ან პროდუქციის გასაყიდი საკუთარი ქსელის მეოხებით. მან **მთლიანად უნდა შეასრულოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებანი** პროდუქციის სამუშაოების, მომსახურების რაოდენობის, ნომენკლატურის (ასორტიმენტის), ვადების, ხარისხის და სხვა პირობების მიხედვით. საწარმო ვალდებულია შეისწავლოს მოთხოვნა და განახორციელოს რეკლამის ღონისძიებანი. საწარმოს საწარმოო-გასაღებითი საქმიანობის დამამავრებელი ეტაპი, სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების განხორციელების აუცილებელი პირობაა მომმხარებლის მიერ იმ პროდუქციის (სამუშაოს მომსახურების) ანაზღაურება, რომელიც მიწოდებულია ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. საწარმოს უფლება აქვს საკუთარი საჭიროებებისთვის გამოიყენოს, სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებს და მოსახლეობას მიჰყიდოს ან სხვა საწარმოებს გაუცვალოს ზეგეგმითი პროდუქცია, თუ ხელშეკრულებული ექნება სახელშეკრულებო ვალდებულებანი, აგრეთვე პროდუქცია, რომელზეც უარი თქვეს მიწოდების ხელშეკრულების დამღებმა მომმხარებელმა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანოებმა.

3. თუ საწარმო არ შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს, მას ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა, დადგენილი წესით ანაზღაურებს მომხმარებლისთვის მიყენებულ ზარალს. ხელშეკრულებათა პირობების დარღვევისათვის ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდა, აგრეთვე მიყენებული ზარალის ანაზღაურება არ ათავისუფლებს საწარმოს პროდუქციის მიწოდების, სამუშაოების წარმოებისა თუ მომსახურების გაწევის ვალდებულებათა შესრულებისაგან.

4. **მყიდველი საწარმო ვალდებულია დროულად აანაზღაუროს** მისთვის ხელშეკრულების შესაბამისად მიწოდებული პროდუქცია (სამუშაოები, მომსახურება) საკუთარი სახსრების ხარჯზე, ცალკეულ შემთხვევებში კი ბანკის კრედიტის ხარჯზე. მას ეკისრება პასუხისმგებლობა დადგენილ ვადებში ანაზღაურებისათვის, დაგვიანებული ანგარიშსწორებისათვის კი ჯარიმას იხდის.

თუ საწარმოს არა აქვს პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) შესაყიდისათვის საკუთარი სახსრები და კრედიტის მიღების უფლება **მას ანაზღაურებს ზემდგომი ორგანო ცენტრალიზებული ფონდების სახსრებისა და რეზერვების ხარჯზე** დაბრუნების პირობით. სახსრების უკმარისობის შემთხვევაში ზემდგომი ორგანო სარგებლობს ბანკის კრედიტით.

მუხლი 17. ფინანსები და ფასები

1. საწარმოს საფინანსო საქმიანობა უნდა ხმარდებოდეს საწარმოს საწარმოო და სოციალური განვითარებისათვის ფინანსური რესურსების შექმნას, შრომის ნაყოფიერების მატების, პროდუქციის, (სამუშაოების, მომსახურების), თვითღირებულების შემცირების, მისი ხარისხის ამაღლების, საწარმოო ფონდების გამოყენების გაუმჯობესების გზით **მოგების (შემოსავლის) ზრდის უზრუნველყოფას.**

2. საწარმო ფინანსურ საქმიანობას ეწევა ხუთწლიანი და წლიური საფინანსო გეგმების შესაბამისად. მას ეკისრება პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ დროულად შეასრულოს ვალდებულებანი ბიუჯეტის ბანკებისა და ზემდგომი ორგანოს, მიმწოდებლების, მოიჯარეებისა და სხვა ორგანიზაციების წინაშე. საწარმო მოვალეა მიაღწიოს მის განკარგულებაში დარჩენილი ფინანსური სახსრების გამოყენების დიდ ეფექტიანობას.

3. საწარმო ბიუჯეტთან **საფინანსო ურთიერთობას** აკავშირებს **გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების საფუძველზე.** საწარმოს ბიუჯეტში შეაქვს მის განკარგულებაში არსებული რესურსების საფასური, ნორმატივის მიხედვით მოგების (შემოსავლის), ნაწილი, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახდელები და ანარიცხები, მათ შორის ადგილობრივ ბიუჯეტში.

საწარმოსა და სახელმწიფო ბიუჯეტს შორის მოგების (შემოსავლის) განაწილებას ნორმატივებმა უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოს თანაბარი მოთხოვნები საწარმოების მიერ საწარმოო და შრომითი რესურსების გამოყენებისადმი და ისინი შეიძლება დაწესდეს ანარიცხების დიფერენცირებული სკალების, საგადასახადო განაკვეთების, სხვა ნორმატივების ფორმით.

დაწესებული ნორმატივების, ნორმების და განაკვეთების გადაჭარბებით, აგრეთვე იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული კანონმდებლობით, საწარმოს მოგების (შემოსავლის) და სხვა ფინანსური რესურსების ამოღება და გადანაწილება აკრძალულია.

4. **საწარმო ვალდებულია იმუშაოს უზარალოდ.** დროებითი გეგმით ზარალიანობის პირობებში საწარმოს ზემდგომი ორგანოები აფინანსებენ დოტაციის იმ ლიმიტის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია ხუთწლიანი გეგმით და პროგრესულად უნდა შემცირდეს. იგი ვალდებულია შეიმუშაოს ფინანსური მდგომარეობის განმტკიცების, დადგენილ ვადაში პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოების ზარალიანობის ლიკვიდაციისა და მომგებიანი მუშაობის უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

5. საწარმოს მიერ რესურსების არარაციონალური გამოყენებით სხვა ორგანიზაციებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება, საუპროოს, ჯარიმების გადახდა და კანონმდებლობით დადგენილი სხვა ეკონომიკური სანქციები წარმოებს კოლექტივის სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავლის ხარჯზე. საწარმოსათვის მიცემული ზარალის ასანაზღაურებელი და ეკონომიკური სანქციების თანხები ხმარდება კოლექტივის სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავლის გადიდებას.

6. **ფასწარმოქმნის** დარგში უფლებებსა და მოვალეობებს საწარმო ახორციელებს სახელმწიფო მართვისა და ფასების რეგულირების ძირითადი პრინციპების შესაბამისად. ფასები გამოიყენება როგორც წარმოების ეფექტიანობის ზრდაზე, პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებაზე ზემოქმედების აქტიური საშუალება. საწარმო ვალდებულია უზრუნველყოს ფასების, მათი პროექტებისა თუ გაანგარიშების ეკონომიკური დასაბუთება, სახალხო სამეურნეო ეფექტის უპირატესი ზრდა დანახარჯებთან შედარებით, მომმხარებლისთვის შედარებითი გაიაფება, სალიმიტო ფასების დაცვა.

7. საწარმო ანაღდებს თავის პროდუქციას (სამუშაოებს, მომსახურებას) **ცენტრალიზებულად დადგენილი ფასებით (ტარიფებით),** აგრეთვე მომმხარებელთან **მორიგების საფუძველზე ან დამოუკიდებლად.**

8. საწარმოს **ეკისრება პასუხისმგებლობა ფასების დისციპლინის** მკაცრად **დაცვისათვის** და ვალდებულია არ დაუშვას მათი მომატება. ფასების სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის, სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დაუცველობის შედეგად საწარმოს მიერ უსაფუძვლოდ მიღებული მოგება ამოსაღები და უნდა გადაეცეს ბიუჯეტს (კოლექტივის სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავლის ხარჯზე) და გამოარიცხოს გეგმის შესრულების შესახებ საანგარიშო მონაცემებიდან.

საწარმო, რომელმაც დაუშვა ფასების მომატება და უსაფუძვლო მოგების მიღება, დამატებით ბიუჯეტში იხდის ჯარიმას უკანონოდ მიღებული მოგების ოდენობით კოლექტივის სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავლის ხარჯზე. მწარმოებლის მიერ პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ფასების მომატების შემთხვევაში მომხმარებელს უფლება აქვს მოშალოს მისი მიწოდების შესახებ დადებული ხელშეკრულება.

9. სამეურნეო საქმიანობაში დამოუკიდებლობის გაფართოების, მომმხარებელთა ინდივიდუალური მოთხოვნილებების უფრო სრული გათვალისწინების, მაღალხარისხოვანი პროდუქციისა და ახალი ტექნიკის გამოშვების სტიმულირების მიზნით საწარმოს უფლება აქვს გამოიყენოს მომმხარებლებთან დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული ფასები (სახელშეკრულებო ფასები) საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციისა, სახალხო მეურნეობის საქონლისა, მეცნიერულ-ტექნიკური ნამუშევრებისა, სოფლის მეურნეობის იმ პროდუქციისა, რომელსაც სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციები ასაღებენ და საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები ყიდულობენ მოსახლეობისაგან, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახეობათა პროდუქციისა (სამუშაოების, მომსახურების).

სახელმწიფო ფასწარმომქმნის ორგანოები განსაზღვრავენ სახელშეკრულებო ფასების დაწესებასა და კონტროლს უწევენ მათ გამოყენებას.

10. საბჭოთა მეურნეობას, სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოს უფლება აქვს დამოუკიდებლად დაადგინოს მის მიერ წარმოებული სამრეწველო პროდუქციის, სოფლის მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული პროდუქციის ნაწილისა და მთელი ზეგეგმითი პროდუქციის ფასები, რომელსაც ყიდის საკუთარ სავაჭრო ქსელში, საკოლმეურნეო ბაზარში, აგრეთვე აგროსამრეწველო კომბინატს შიგნით გასასაღებელი პროდუქციის ფასები, მომსახურების ტარიფები და ფასდებანი.

მუხლი 18. კრედიტი და ანგარიშსწორება

1. სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში საწარმო აქტიურად სარგებლობს ბანკის კრედიტით საწარმოო და სოციალური განვითარების მიზნით და იმ პირობებით, რომ მკაცრად დაიცვას დაკრედიტების პრინციპები: კრედიტების უზრუნველყოფა, მიზნობრივი ხასიათი, ვადიანობა, დაბრუნებადობა და ფასიანობა.

საწარმოებს შეიძლება მიეცეთ მოკლევადიანი და გრძელვადიანი ბანკის კრედიტები. მოკლევადიანი კრედიტი ეძლევათ დაკრედიტების მამხდენელ საქმიანობის მიზნით. გრძელვადიანი კრედიტი ეძლევათ ხარჯების ანაზღაურების პირობებით წარმოების განვითარების მიზნით, აგრეთვე საცხოვრებელი სახლებისა და სოციალური დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობისათვის იმის გათვალისწინებით, რომ კრედიტი დაფარონ წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდისა და სოციალური განვითარების ფონდის (ანალოგიური დანიშნულების სხვა ფონდების) სახსრების ხარჯზე.

დაკრედიტებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს საწარმო წყვეტს საკრედიტო დაწესებულებებში ანგარიშსწორების ანგარიშის ან კაპიტალდაბანდებათა დაფინანსების ანგარიშის გახსნის აგდილას.

საწარმოს ეკისრება პასუხისმგებლობა კრედიტების ეფექტიანი გამოყენებისათვის. დაკრედიტების პირობების დამრღვევი საწარმოების მიმართ გამოიყენება სანქციები. სესხის დაფარვის ვადების სისტემატური დარღვევის შემთხვევაში საწარმო კარგავს ახალი კრედიტის უფლებას; ცალკეულ შემთხვევებში მას შეუძლია ისარგებლოს ამ უფლებით ზემდგომი ორგანოს გარანტიით.

2. საწარმო ვალდებულია დროულად გაასწოროს ანგარიში ყველა ვალდებულების მიხედვით. დაგვიანებული ანგარიშსწორებისათვის საწარმო იხდის ჯარიმასა და პირგასამტეხლოს. **საწარმო ყველა ანგარიშსწორებას, მათ შორის ბიუჯეტში ანარიცხებსა და ხელფასის გაცემას აწარმოებს** საანგარიშსწორებო დოკუმენტების მიღების (გადასახდელის ვადის დადგომის) **კალენდარული** რიგითობით.

ბანკები საწარმოს უხდიან პროცენტებს მისი წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდის, აგრეთვე სოციალური განვითარების ფონდის ფარგლებში თავისუფალი ფულის სარგებლობისათვის.

3. საწარმო, რომელიც სისტემატურად არღვევს საგადამხდელო დისციპლინას, **ბანკებს შეუძლიათ გამოცხადონ ანგარიშსწორებანი არაგადამხდელუნარიანად,** თანაც აცნობონ ეს საქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ძირითად მომწოდებლებსა და ზემდგომ ორგანოს. ვალდებულებების მიხედვით გადასახდელების რიგითობას ასეთ საწარმოს ბანკი უწესებს. საწარმო და მისი ზემდგომი ორგანო ვალდებულნი არიან განახორციელონ უყაირათობის აღმოფხვრისა და საანგარიშსწორებო დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებანი.

უდავო წესით გადასახდელ ჯარიმებსა და პირგასამტეხლოებს ბანკი ჩამოწერს საწარმოს საანგარიშსწორებო ანგარიშიდან. უკანონოდ ჩამოწერილ ჯარიმებსა და პირგასამტეხლოებს საწარმოს უნაზღაურებს ბრალეული მხარე გადიდებული ოდენობით. სახსრების ასეთი დაბრუნების შესახებ დავას განიხილავენ არბიტრაჟის ორგანოები და სასამართლო.

მუხლი 19. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა

1. საწარმოს **საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა** საწარმოს მთელი მუშაობის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. იგი, როგორც წესი, ხორციელდება საგალუტო თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების საფუძველზე, **მისი შედეგი საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შედეგების ორგანული ნაწილია** და უშუალოდ ახდენს გავლენას ეკონომიკური სტიმულირებისა და საგალუტო ანარიცხების ფონდების ჩამოყალიბებაზე.

2. საწარმოს საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება თანამშრომლობას სოციალისტური ქვეყნების საწარმოებთან, სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის გაფართოება-გაღრმავებასა და ეფექტიანი კოოპერაციის განვითარებას.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ურთიერთობაში საწარმო:

ამყარებს პირდაპირ კავშირს, წყვეტს საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური კოოპერაციის საკითხებს, მათ შორის განსაზღვრავს თანამშრომლობის ეკონომიკურ პირობებს, კერძოდ, სახელშეკრულებო ფასებს, დებს სამეურნეო ხელშეკრულებებსა და კონტრაქტებს;

ათანხმებს პროდუქციის ნომენკლატურასა და საექსპორტო-საიმპორტო მიწოდების მოცულობებს კოოპერაციისა და მომსახურების გაწევის მიხედვით, გადასცემს მატერიალურ რესურსებსა და შესაბამის ტექნიკურ დოკუმენტაციას;

ეწევა სამეცნიერო-კვლევითს, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ექსპერიმენტულ სამუშაოებს, ქმნის ამ მიზნებით მეცნიერთა და სპეციალისტთა ერთობლივ კოლექტივებს, ურთიერთშეთანხმებული პირობებით ცვლის სამეცნიერო-ტექნიკურ დოკუმენტაციას და ხელს უწყობს კადრების სწავლებას;

მონაწილეობს ერთობლივი საწარმოების, საერთაშორისო გაერთიანებებისა და ორგანიზაციების საქმიანობაში, რომლებიც იქმნება სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებს საფუძველზე.

3. **კაპიტალისტური და განვითარებადი ქვეყნების ფირმებთან ეკონომიკურ კავშირურთიერთობის** საწარმო ახორციელებს ურთიერთსარგებლიანობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებზე. ასეთი კავშირურთიერთობის განვითარების ძირითადი ფორმებია გრძელვადიან და შეწონასწორებულ საფუძველზე საწარმო და სამეცნიერო-ტექნიკური კოოპერაცია, აგრეთვე ერთობლივი საწარმოებისა და წარმოებების შექმნა. სსრ კავშირის ტერიტორიაზე ერთობლივი საწარმოებისა და წარმოებების შექმნისა და საქმიანობის წესი განსაზღვრება საბჭოთა კანონმდებლობის შესაბამისად.

4. საექსპორტო პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) მნიშვნელოვანი მიწოდების უზრუნველყოფ საწარმოს შეიძლება მიეცეს უფლება უშუალოდ განახორციელოს საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციები (მათ შორის კაპიტალისტური და განვითარებადი ქვეყნების ბაზრებზე) და ამ მიზნებით შექმნას **სამეურნეოანგარიშიანი საგარეო-სავაჭრო ფირმა.**

საწარმოები, რომლებსაც არა აქვთ საგარეო ბაზარზე დამოუკიდებლად გასვლის უფლება, მონაწილეობენ თავიანთი პროდუქციისა და მომსახურების ექსპორტის საუკეთესო პირობების განსაზღვრაში თავიანთი ან სხვა სამინისტროებისა და უწყებების საგარეოსავაჭრო გაერთიანების მეშვეობით.

5. **სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების,** ეკონომიკური დაინტერესებისა და პასუხისმგებლობის გადიდების, საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების განხორციელებაში **დამოუკიდებლობის გაფართოების** მიზნით საწარმო:

საზღვარგარეთელ პარტნიორებთან თანამშრომლობას ეწევა სამეურნეო ხელშეკრულებების საფუძველზე;

ქმნის საექსპორტო მზა პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაციის შედეგად მიღებული სახსრებისაგან სტაბილური გრძელვადიანი ნორმატივების მიხედვით ჩამოყალიბებული საგალუტო ანარიცხების, აგრეთვე კოოპერაციული მიწოდების ოპერაციებისა და ლიცენზიების გაყიდვის მთელი საგალუტო ამონაგების ფონდს;

შეუძლია ბანკში მიიღოს კრედიტი უცხოური ვალუტით საექსპორტო წარმოებების შექმნისა და განვითარებისათვის იმ პირობით, რომ კრედიტი დაფაროს პროდუქციის ექსპორტის საგალუტო ამონაგების ხარჯზე.

6. **ეკისრება ეკონომიკური პასუხისმგებლობა** საგარეო-ეკონომი

ერის ისტორიის კინოსურათი

ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისათვის თვალის გადევნების ისახავს მიზნად ქართული სატელევიზიო მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმი „გზა“ (დამდგმელი რეჟისორი მ. კოკოჩაშვილი, სცენარის ავტორი ბ. ანდრონიკაშვილი), რომელიც ქართველმა საზოგადოებრიობამ ჩვენი კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად აღიარა. ეს მნიშვნელობა სცილდება კინემატოგრაფიული ფაქტის ფარგლებს და ფართო — საზოგადოებრივ, ეროვნულ მასშტაბებს აღწევს.

კინორეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილის მთელი შემოქმედება, ფაქტობრივად, ეროვნული ფენომენის მხატვრული კვლევაა სხვადასხვა კუთხითა და სხვადასხვა ცხოვრებისეული მასალის საფუძველზე. ერთ შემთხვევაში ეს არის პატარა ფილმ-ბალადი („ხმელი წიფელი“) გამოხატული იმედიანი ფიქრი სამშობლოზე, რომელმაც მედგრად გაუძლო თავისი ტრაგიკული ისტორიის მრისხანე ქარტეხილებს და კვლავაც დგას „შეუშფოთრად, წარბშეუხრელად“; სხვა შემთხვევაში ქართული ეროვნული ხასიათის თავისებურებათა და განუმეორებელ ელფერთა ძიებისას რეჟისორი მიმართავს მხიერ ჯავახშვილის პროზას და ქმნის ჭეშმარიტად ხალხური სულით აღსავსე ფილმს „მიხა“. ქართული სულის ესთეტიკური კვლევის გზაზე მ. კოკოჩაშვილს დიდი შემოქმედებითი გამარჯვება მოუტანა ფილმმა „დიდი მწვანე ველი“, სადაც ბუნებასთან თანშეზრდილი, ჰარმონიული პიროვნების კონფლიქტში დროისმიერ გარდაქმნებთან ავტორი ცდილობს გამოაცალინოს ეროვნული ხასიათის ის თვისებები, ის მარადიული ფასეულობანი და ზნეობრივი კრიტერიუმები, რომლებიც ერმა ათასწლეულთა წიაღიდან დღემდე მოიტანა. ამ ფასეულობებითა და კრიტერიუმებით ამოწმებს რეჟისორი თავის თანამედროვეთა სულის წყობას ფილმში „მწვერვალი“, ხოლო მომდევნო სურათში „ცხელი ზაფხულის სამი დღე“ ზნეობის საკითხს ადამიანის დანაშულების, ცხოვრებაში მისი ადგილის პრობლემასთან კავშირში განიხილავს. ამ სურათში ერთგვარად მოამზადა ნიადაგი სატელევიზიო ფილმისათვის „გზა“, რომელშიც რეჟისორის ამოცანამ უფრო ფართო მასშტაბს მიაღწია — აქ უკვე დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით მაყურებელთა თვალწინ სახიერად, გაჯერებული და პოპულარული ფორმით არის მოწოდებული ქართველი ერის ისტორიის ობიექტური სურათი, მოთხრობილია მისი მრავალსუკუნოვანი პოლიტიკური, სამხედრო, სოციალური და კულტურული ბიოგრაფია.

ბევრისათვის აღბათ უცნობია, რომ ამ ფილმზე სამუშაოდ თავის დროზე კინორეჟისორი გურამ პატარაია ემზადებოდა. არსებობდა მომავალი ფილმის გარკვეული ჩანაფიქრი და იდეურ-ესთეტიკური კონცეფცია, რომელიც მასალის მოწოდების ტრადიციულ, დოკუმენტურ კინოში დამკვიდრებულ გზას გულისხმობდა. საბუნებიერად, ხელოვნის ამ ჩანაფიქრის განხორციელება აღარ დასცალდა...

უკვე ფილმზე მუშაობის პროცესში სახე ეცვალა თავდაპირველ ჩანაფიქრს, შეიცვალა მასალის მოწოდების ფორმა, მხატვრული მეთოდი. კადრის სივრცეში გაჩნდა წამყვანი — თვით რეჟისორი მ. კოკოჩაშვილი, რომელიც ავივლებს მეგზურობას ჩვენი „მოგზაურობისას დროსა და სივრცეში“, გვთავაზობს ერთგვარ „რეპორტაჟს“ არქეოლოგიური გათხრებისა თუ ისტორიული ბრძოლების ადგილებიდან, მუზეუმებიდან და მეცნიერთა სამუშაო კაბინეტებიდან. ამავე დროს ეს არის რეპორტაჟი ჩვენს თანამედროვეზე, რომელიც ძიების, კვლევის გზით ცდილობს ჩაუღრმავდეს ერის ისტორიას, საუკუნეთა სიღრმიდან გამოიხმოს ფაქტები და არგუმენტები, ააგოს დამაკავშირებელი ხიდები წარსულსა და დღეგანდელობას შორის. ეს არის ფილმის ავტორების ფიქრი, მსჯელობა, ზოგჯერ კამათი საკუთარ თავთან. ეკრანიდან გამართული ცოცხალი საუბარი მაყურებელსაც ითრევს „საკუთარი თავის ძიების“ პროცესში. ამ გზაზე ავტორს ეხმარებიან ცნობილი ქართველი ისტორიკოსები, არქეოლოგები, ანთროპოლოგები, კულტურის ისტორიის მკვლევარნი, ეთნოგრაფები, რომელთაგან თითოეული თავის პიროვნების სახასიათო მნიშვნელობით წარდგება მაყურებლის წინაშე. ასე რომ, ისტორიული სიმართლის დადგენის პროცესში ყალიბდება 70-80-იანი წლების ქართველი სამეცნიერო ინტელიგენციის კოლექტიური ზნეობრივ-ფსიქოლოგიური პორტრეტი. ისტორიის ან კულტურის ამა თუ იმ საკვანძო საკითხზე მსჯელობისას ავტორი არ იფარგლება ერთი რომელიმე კონცეფციისა თუ მოსაზრების ფეხქარებით და მიმართავს აზრთა დაპირისპირების ხერხსაც, ამასთანავე, მისთვის ჩვეული მუსიკალურობით, ყოველივეს ერთი „ცენტრალური ბგერის“ გარშემო კრებს და ქმნის აზრთა იმ პოლიფონიას, რომელიც ფილმს მრავალგანზომილებიანს ხდის, იძლევა მასში წამოჭრილი საკითხების სხვა კუთხით განხილვის შესაძლებლობას, თემებს ახალი ფილმების შესაქმნელად. ესეც „გზის“ ერთ-ერთი ღირსებაა.

ფილმზე მუშაობის პროცესში რეჟისორს შემოქმედებითი თანადგომა აღმოუჩინა სცენარის ავტორმა — მწერალმა და კინოდრამატურგმა ბორის ანდრონიკაშვილმა, რომელიც წლების მანძილზე იკვლევს რუსეთ-საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ისტორიის საკითხებს, მისი ისტორიული ნარკვევები გამოქვეყნებულია ჟურნალებს — „მნათობის“, „ლიტერატურნაია გრუზიის“, „დრუჟბა ნაროდოვის“ ფურცლებზე. დასტამბულია ცალკე კრებულის სახით. ბ. ანდრონიკაშვილის სცენარები საფუძვლად დაედო საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიაში შექმნილ ორ ფილმს — „დეკაბრისტი სუტგოფი“ და „ორი დებიუტი“. გამოსაცემად მზადდება მისი წიგნი „პროვინციელი წინასწარმეტყველნი“.

აღსანიშნავი ფილმის ოპერატორის გივი მელქაძის წვლილი, რომელიც უშუალოდ ფილმზე მუშაობისას გადაღებულ მასალასთან ერთად ფილმის ვიზუალური იერი გამდიდრა ჯერ კიდევ 1967 წელს გურამ პატარაიასთან ერთად არაბეთის ქვეყნებსა და იერუსალიმში გადაღებული უნიკალური კინოკადრებით, რომლებიც თავის დროზე გამოუყენებელი დარჩა.

სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გზა“ ოპტიმისტური მსოფლშეგრძნებით აღსავსე კინონაწარმოებია, რომელიც ამკვიდრებს ერის სიცოცხლისუნარიანობის პრინციპის ურყეობის რწმენას, მასში ჟღერს ის „ცენტრალური ბგერა“, საუკუნეთა მანძილზე ერის ცხოვრების გზის უსასრულობას რომ უზრუნველყოფდა.

მარინე კერესელიძე.

ბორტების დამთრგუნველი

შვნიშვნელი ფილმის „მონანიების“ გამო

ფილმი „მონანიება“, რომელიც თბილისის კინოსტუდიაში დადგა უნიჭიერესმა რეჟისორმა თენგიზ აბულაძემ ნ. ჯანელიძის, თ. აბულაძისა და რ. კვესელავას სცენარის მიხედვით, მიმართავს ჩვენს ისტორიულ ხსოვნას, იმ გამოცდილებას, რომელიც მოპოვებულია არა მარტო პირადად განცდილიდან, არამედ გამოტანილია როგორც გაკვეთილი თაობათა ბედიდან, იქიდან, რაც ასახულია დოკუმენტურ ქრონიკებსა და მატიანეებში, ზეპირ გადმოცემებში, მითებში, ბრძენთა წიგნებში. ხოლო იგივი (ფილმი „მონანიება“ კინოიგავია) თავისუფლად იყენებს ყველა ამ წყაროს.

რატომ თხრის სამჯერ საფლავიდან ქალაქის თავის ვარლამ არაკიძის გვამს და დგამს განსვენებულის შეძრწუნებულ ნათესავთა სახლის წინ ხის ქვეშ ქეთევან ბარათელი? იქნებ, ქეთევან? სწორედ მის გიჟად შერაცხვას მოითხოვს სასამართლოზე ვარლამის ვაჟი აბელი. არადა, რამდენად უფრო მარტივი იქნებოდა ყველაფერი, საქმე რომ მხოლოდ ეს იყოს. მაგრამ მარტო იგივეს კანონებით როდი აღმოჩნდება ხოლმე ზოგჯერ სინამდვილეში ყველაზე ბრძენი ის, ვინც შემლილად მიაჩნიათ, ხოლო ისინი, ვისაც ჭეშმარიტების დამცველად მოიკვეთა თავი, ემხობიან როგორც ყალბი კერპები.

ქეთევანი ფიცს დებს: „სანამ სული მიდგას, ვარლამ არაკიძეს მიწაში არ გავიჩერებ, სამჯერ კი არა, სამასჯერ ამოვთხრი. სანამ ის მიწაშია, ის ცოცხალია, ეს ფაქტიურად თვალის. დახუჭვაა იმაზე, რაც მან ჩაიდინა“.

რვა წლისა იყო ქეთევანი, როცა ვარლამმა თავისი „სეფე“ საკარძელი დაიკავა. ითვლიდნენ, რომელზეც იგი ხალხს გამოეცხადა, სახლის სახურავთან შეამნევენდით სახრჩობელას კაკონს, რომელზეც შავი ყვავი ზის. მაგრამ სიტყვით გამოსული დამკვრელი თითქოს ეერაფერს ვერ ამჩნევდნენ, და მათი სიტყვები იღერებოდა როგორც წყალი იმ გამსკდარი მილიდან, რომელსაც ეკრანზე არემონტებენ მუშები და რომლის შადრევანი ჩანჩქერივით ესხმებათ თავზე ორატორებსაც და თვით სახეიმო ცერემონიის მოწყობის მესვეურს. და მაინც, როგორ შეიძლებოდა, არ შეემჩნიათ ის ავისმომასწავებელი ნიშნები, რომლებიც, თითქოსდა, ესოდენ მკაფიოდ გასარჩევია! ვაი რომ, ასეთი რამეც ხდებოდა ისტორიაში: ყურად არ იღებდნენ არათუ აშკარა სიმართლეს, არამედ ბრძნულ გაფრთხილებებსაც. სხვათა შორის, ვარლამ არაკიძის სადიდებელ სიტყვას წარმოთქვამს სულ მთლად ყმაწვილი ქალიც. რა შეიძლება იცოდეს მან დანაშეფილებთან არავიძეზე, როგორც სახელმწიფო მოღვაწეზე? მაგრამ ხომ ორატორობს.

უფროსი თაობების მაყურებლები ვარლამის ნაკვთებში, პენსნეს კვადრატულ მინებში დაინახავენ იმ კაცის ოდესღაც ნაცნობ პორტრეტს, ვინც ოცდაათიანი წლების საქართველოში ეკრანულ ანტიგმირზე გაცილებით მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ვარლამის მომდევნო სქემთა მასშტაბი კი შორს სცილდება ქალაქის ფარგლებს. ესეც უქარაგმებოდ იკითხება. ამავე დროს არავიძე ალეგორიული ფიგურაა. მას აქვს „ფიურერის“ ულვაშები, აცვია აშურმიანი შავი ფრენჩი... ესეც ერთობ ნაცნობია, მაგრამ ნაცნობი — უკვე შორეული, „ასე განსაჯეთ, ჩვენი მიწა-წყლის ცხოვრებისისქიმის მხარეებიდან.

მაგრამ აი, ქეთევანის სასამართლო, დარბაზში მსხდომი ოცეიათ თანამედროვე სამოქალაქო ტანსაცმელი, ხოლო მოსამართლეები უხსოვარი ეპოქების ტრიბუნალების ინგლისელი თუ ფრანგი სამართლიანობის აღმსრულებლების კვადრატულ აბრეშუმის ქუდებში და შავ მანტიებში გამოწყობილან. სასამართლოს თავმჯდომარეს კი ხელში უჭირავს... რუბიკის კუბური. მაშასადამე, ეს არის აგრეთვე ისტორია, რომელიც არაერთხელ განმეორებულა სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარი ვარიანტით და სხვადასხვა ქვეყანაში. ხელოვანი აფართოებს ხედვის ისტორიულ ჰორიზონტს. და მაინც უწინარესად ჩვენ მოგვმართავს.

ვინ არის ვარლამი? რა კაცია, რა ხასიათია, რა ტიპია? ფილმის ქარაგმები, ალეგორიები ზუსტ ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს, ადამიანთა რეალურ კოლიზიებს ეყრდნობა. აი მხოლოდ ორი ეპიზოდი ფილმის პირველი ნახევრიდან.

ქალაქის ტაძარში, ადრექრისტიანობის არქიტექტურის ძეგლში, განლაგებულია კამორატორია და უზარმაზარი აპარატურა როგორიც სამეცნიერო ცდებისათვის. მოხუცი სწავლულნი მოვიდნენ არავიძესთან და პროტესტი განუცხადეს: მძლავრი ელექტრული განმუხტვა აზანზარებს ტაძარს, იგი შეიძლება დაინგრეს. ვარლამი ყურადღების, კეთილმოსურნეობის გახსახიერებაა. იგი იზიარებს მოხუცთა აღშფოთებას და უსაყვედურებს კიდეც თანაშემწეს იმის გამო, აქაოდა, ცუდად გამარკვიე საქმის გარემოებებშიო, ნუთუ არ ესმის, რომ ასეთი ძეგლის დანგრევა კულტურის მაცოცხლებელი ფესვების გადაჭრას ნიშნავს?! იგი ვითომ გულის სიღრმემდე შეძრული ეკითხება: „ჰყავს თუ არა მის თანაშემწეს დედა? ავად რომ გახდეს, განა არ მოუვლიო?! ჰოდა, ტაძარი ხომ დედაა... ო, რა დემონსტრაციულად ხევს ვარლამი მომსვლელთა თვალწინ თავის ბრძანებას ლაბორატორიის შესახებ. მაგრამ ყოველივე ეს სპექტაკლია. ვარლამი არ აპატიებს იმას, ვინც ასე თუ ისე ხელყო მისი უმაღლესი ბრძენკაცის ავტორიტეტი, მისი უცილობელი გაკარგულებანი. რამდენიმე დღის შემდეგ სწავლულთ დაუპატიჟებენ.

დაპატიმრებას ელის სანდროც, ნიჭიერი მხატვარი, ქეთევანის მამა, რომელიც გამოექომაგა მეგობრებს. მაგრამ მოულოდნელად მისი სახლის ზღურბლზე გამოჩნდება შავნაბამოსმსმული კაცი, ნაბადი მას სახესაც კი უფარავს. თეატრალური ეფექტით გადაიგდებს ნაბადს: თავად ქალაქის თავმა დასდო პატივი და ეწვია მხატვარს. რაღაც ჯადოქრობით ვარლამის ხელში ჩნდება დიდებული თაიგული, ხოლო თვითონ იგი აღფრთოვანებით ეცემა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მშვენიერი დისასხლისის ფერხთით. შემდეგ ვარლამი სანდროს შემოქმედებაზე წარმოთქვამს: „ასეთი მხატვრობა გვეჭირდება!“ (დაიფასეთ: აქაც ყველაფერი გაეგება!). იმდერებს ოპერის არიას, გრძნობით წაიკითხავს შექსპირის სონეტს: „ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა, რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება, რადგან არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა, რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება...“ ჰოდა, გაუჩინარდება როგორც ოპერეტის ეშმაკი — გადახტება ფანჯრიდან. „კომედიანტი!“ — ზიზღით იტყვის სანდრო. მაგრამ მალე ოჯახში მოვლენ ვარლამის ლაქიები, მისი ადამიანის სახედაკარგული მობანეები (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობითაც — იგი მღერის, ისინი კი ბანს ეუბნებიან) და, შეთავსებული, მისი „შავი რაინდები“ (ისევ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რამეთუ შუა საუკუნეების სამოსელში არიან გამწყობილნი. მაგრამ ესეც პირობითი მარადიული იგავის კანონებია). ისინი წაიყვანენ მხატვარს, კედლებიდან ფრთხილად ჩამოიღებენ და წაიღებენ ყველა მის სურათს.

ეს ამბავი ფილმში ორ ეპიზოდად ჩანს. ეს ორი ეპიზოდი ერთმანეთისგან ოცი წელია. ამ ოცი წლის მანძილზე ბევრი ცვლილება მოხდა ადამიანებში, ბევრ ადამიანს ბევრ ცვლილებას ადგილი ჰქონია